სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 7 ივლისი 2008 №154 (3378) ფასი 50 თეთრი



დაცინვას კაცი არ მოუკლავს?

ზოგადად, დაცინვას კაცი არ მოუკლავს, მაგრამ... ლუქსემბურგელი სტუდენტი, შეთავსებით ფეხბურთელი რომ დაგცინებს, გული კი უნდა მოგიკვდეს.

იმიტომ უნდა მოგიკვდეს, რომ იმ ლუქსემბურგელ სტუდენტ-მოყვარულს, პრინციპში, ტყუილი არ უთქვამს.

და რა თქვა ამისთანა ლუქსემბურგული „ეტცელას“ სტუდენტ-მოყვარულმა ფეხბურთელმა?

რა და, გაკვრით ახსენა, ინტერტოტოს თასის მეორე ეტაპზე რუსულმა „სატურნმა“ ჩვენ შვიდი გოლი რომ გაგვიტანა, ქართულ „ლოკომოტივს“ ათს მაინც გაუტანდაო.

საერთოდ, რა არის, იცით? ვიღაცა რომ რაღაცას იტყვის, ყველაფერს თუ ყურადღება მიაქციე... მაგრამ, მოდი და, ნუ გაგისკდება გული, ლუქსემბურგელი სტუდენტ-მოყვარულის დასაცინი რომ გახდება ქართველი პროფესიონალი ფეხბურთელი. და ეს კიდევ არაფერი. უფრო დიდი სირცხვილი ის არის, რომ გვეუბნებიან, სულაც არ არის სირცხვილიო...

დღეს არის სიტყვა

აფრაამ გრანტის კი ან არა



კიევშრის სიო ასათიანისთვის



საქართველოს ნაკრების ლიდერთაგანი მალხაზ ასათიანი ეგებ კიევის „დინამოში“ გადავიდეს.

ყოველ შემთხვევაში, კიეველთა მთავარი მწვრთნელის, იური სიომინის სურვილი ასეთია, დანარჩენი კი თავად ფეხბურთელის გადაწყვეტილებასა და კლუბების მოლაპარაკებაზეა დამოკიდებული.

ასათიანს ტრავმების გამო ბლომად დრო გაუცდა და რა გასაკვირია, მოსკოვური კლუბის ძირითად შემადგენლობაშიც მუდმივად რომ ველარ ხვდება. ჰოდა, კიევური შეთავაზება, ერთი შეხედვით, მისწრება უნდა იყოს, რაკი მალხაზი სიომინის ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელი იყო თავის დროზე და, შესაბამისად, ქართველ ფეხბურთელს შანსი კიევში უკეთესი უნდა ჰქონდეს.

ნადალი ბალახზეც რაფაელია

6 წელი და 65 მატჩი არ წაეგო როჯერ ფედერერს თავის საყვარელ ბალახზე და აი, დიადი შვეიცარიელის ამ უნიკალურ სერიას გუშინ რაფაელ ნადალმა დაუსვა წერტილი.

თბილისის დროით საღამოს ექვს საათზე დაწყებული მატჩი, რომელიც ორჯერ შეწყდა წვიმის გამო, მაშინლა დამთავრდა, ჩვენთან შუაღამე გადასული რომ იყო.

4 საათი და 48 წუთი სათამაშო დრო, 5 სეტი, 62 გეიმი და არნახული დრამატიზმი — ესპანელს თითქოს მოგებული მატჩი გაუფრინდა ხელიდან, მაგრამ ბოლოს მაინც მან იძალა.

6:4 6:4 6:7 6:7 9:7 და ნადალი ლეგენდარული ბიორნ ბორგის შემდეგ პირველი ჩოგბურთელია, რომელმაც ერთ სეზონში მიჯრით მოიგო „როლან გაროსი“ და უიმბლდონი. ფედერერმა კი ეგრეც ვერ დაამხო ბორგისავე ძველი რეკორდი და უიმბლდონზე ზედიზედ მეექვსედ ველარ იმარჯვა.

გრანტის სიტყვა დღეს იქნება

ფინკე უკვე გზაშია

სფფ-ის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი

საქართველოს ნაკრები ისევ უმწვრთნელოდაა და, როგორც ჩანს, ეს კვირაც ისე ჩამთავრდება, ეროვნული გუნდის ახალი თავკაცის ვინაობა არ გამოცხადდება.

მწვრთნელის დანიშვნასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე, აი, რა არის სიახლე: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა დღეს ებრაელ ავრაამ გრანტს ერთხელაც დაუკავშირდება და მისგან უკვე საბოლოო პასუხს გაიგებს, თანახმაა თუ არა, საქართველოს ნაკრები ჩაიბაროს. ასევე დღეს, ფედერაციიდან ბრაზილიელი ზიკოს მისამართით უნდა გაიგზავნოს ოფიციალური წერილი, სადაც დადასტურებულ იქნება მასთან საბოლოო მოლაპარაკებების დაწყების სურვილი. სადღეისო ინფორმაციით კი, ზიკოს იმდენი ფული მოუთხოვია, რამდენის გადახდაც ფეხბურთის ფედერაციას ამ ეტაპზე არ შეუძლია.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ძველებურად აქტუალურია არგენტინელი ექტორ რაულ კუპერისა და იტალიელი რობერტო დონადონის კანდიდატურები. მათთან მოლაპარაკებები გრძელდება, თუმცა არა ისეთი ინტენსივობით, როგორც, მაგალითად, გერმანელ ფოლკერ ფინკესთან. სხვათა შორის, ჯერჯერობით სწორედ ფინკე კანდიდატთა შორის ის ერთადერთი მწვრთნელია, ვინც ფეხბურთის ფედერაციის წინადადებას უკვე თანხმობით უპასუხა და საქართველოს ნაკრებში მუშაობის მზადყოფნა დაადასტურა.

მოკლედ, დღეს ავრაამ გრატის საბოლოო სიტყვაც გვეცოდინება და მერე უკვე საქმეც სხვა მიმართულებით გაგრძელდება — ფედერაცია ჩვენი ნაკრების გაწვრთნის მსურველებს თბილისში დაპატიჟებს, აქაურობას გააცნობს და...

ერთხელაც გავიმეოროთ, ამ კვირაში ალბათ არა, მაგრამ, სავარაუდოდ, ერთ კვირაში მწვრთნელის ვინაობა ცნობილი იქნება.

კოგბა ინასარიძე



ილია კანდელაკი

ადამიას გოლი და კანდელაკის დებიუტი

ინტერტოტოს თასის მეორე ეტაპზე, ბაქოს „ნეფთჩიმ“ სტუმრად ბელგიურ „ბეერსხოტთან“ გიორგი ადამიას გოლით ფრე გაახერხა.

ბელგიელებმა ანგარიში მე-19 წუთზე გახსნეს, ადამიამ კი საპასუხო 11 წუთში გაიტანა.

ქართველმა თავდამსხმელმა სრულად ითამაშა და გუნდში ყველაზე აქტიური იყო.

„ბეერსხოტის“ წინააღმდეგ არ უთამაშია გიორგი ჭელიძეს, ვინც აზერბაიჯანელებმა მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ ინათხოვრეს.

საპასუხო მატჩი ერთ კვირაში ბაქოში შედგება.

სიმფეროპოლის „ტავრიას“ შემადგენლობაში კი ვასილ გიგიაძემ მოლდოვური „ტირასპოლის“ წინააღმდეგ ითამაშა.

მატჩი უგოლოდ დასრულდა, გიგიაძე კი მოედანზე 75-ე წუთზე გამოჩნდა.

31 წლის ქართველი ფორვარდი „ტავრიაში“ ახლახან დაბრუნდა და კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

და ერთიც: გიორგი შაშიაშვილის და ილია კანდელაკის გრაცია „შტურმმა“ 2:0 მოუგო ბელარუსულ „შახტიორს“.

ორივე ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშა.

კახა შალამბერიძე

ჰოლანდიელი, უნგრელი და სამი ბრაზილიელი

ოლიმპში სტურუაც მივიდა

იოჰან ველსიუსი

გუშინ რუსთავის „ოლიმპთან“ ერთად ივარჯიშა 24 წლის ჰოლანდიელმა იოჰან ველსიუსმა, რომელიც ამპლუით ცენტრალური მცველია. საფეხბურთო აგენტ კობა ახალკაცის თქმით, ამ ფეხბურთელს ჰოლანდიურ „დორტრეხტთან“ 2010 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი, თუმც დიდი შანსია, მან რუსთაველ გუნდში ითამაშოს.

ველსიუსმა 3 წელი გაატარა „დორდრეხტში“ და 50 მატჩში 1 გოლი აქვს გატანილი.

ახალკაცის დახმარებით გუშინ უნგრელი ფეხბურთელიც ჩამოვიდა საქართველოში და ისიც ეცდება „ოლიმპში“ დარჩენას. იგი მარჯვენა მცველია, თუმც სახელი და გვარი რატომღაც ვერ გვითხრეს.

წუხელ რუსთაველები სამ ბრაზილიელსაც ელოდნენ — მცველს, ნახევარმცველსა და თავდამსხმელს.

დღეს „ოლიმპი“ რუსთავში ტესტ-მატჩს გამართავს აზერბაიჯანულ „სიმურგთან“ და ალბათ ყველა ამ ფეხბურთელს მიეცემა თამაშის საშუალება.

ერთიც: გუშინ რუსთაველებთან ერთად ივარჯიშა მეკარე ზვიად სტურუამ. მისივე თქმით, მომავალ სეზონს, სავარაუდოდ, სწორედ „ოლიმპში“ გაატარებს.

ნუგრი ლოლაძე

ორბელაძე და დვალი: დაჩიას ქართული დუბლი

რუსთავის „ოლიმპის“ ყოფილი ფეხბურთელების, მცველ სერგი ორბელაძის (47-ე წუთზე) და თავდამსხმელ ჯაბა დვალის (75) გოლებით 2:0 მოუგო კიშინიოვის „დაჩიამ“ მოლდოვის ჩემპიონატის მეორე ტურში „ოლიმპიას“.

ასევე 2:0 იმარჯვა ტირასპოლის „შერიფმაც“. .ვაჟა თარხნიშვილის გუნდმა სტუმრად ცსკა დაჯაბნა.

აი, მამუკა ლომიძის „ზიმბრუ“ კი უგოლოდ დაშორდა „ისკრა-სტალს“.

კახა შალამბერიძე

დინამოს უჰრინმა ჩააკითხა

გაბონელებს თბილისი უთხრეს

გერმანულ შეკრებაზე მყოფმა თბილისის „დინამომ“ მესამე ამხანაგური მატჩი გამართა და რეგიონალლიგელ „ერფურტს“ უგოლოდ დაშორდა.

რაინერ ცობელმა გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: *ლორია, გ. კაშია, შ. კაშია, კრშკო, ჟირანეკი (თომაშვილი 77), ოდიკაძე, ნერგაძე, დიღმელაშვილი, ხმალაძე, გველესიანი (ჯიშკარიანი 83), ქანთარია.*

მომდევნო მატჩს „დინამო“ 8 ივლისს გამართავს მეორებუნდესლიგელ ერცგებირგეს აუე-სთან, ხოლო 9 ივლისს ქვედალიგელ „ბაიერსჰოფს“ გაეჯიბრება.

გაირკვა ისიც, რომ ხვალ თბილისში ჩამოვლენ გაბონის ნაკრების ფეხბურთელები — მეკარე დიდიე ოვონო და თავდამსხმელი ჟორჟ აკირემი. ისინი 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში სათამაშოდ ნაკრებში იყვნენ მიწვეულნი და „დინამოს“ ხელმძღვანელობამაც ახლა დასვენების საშუალება მისცა და შეკრებაზე აღარ წაიყვანა.

და ერთიც: „დინამო“ ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა დუშან უჰრინმა მოინახულა, რომელმაც სამწვრთნელო კარიერა უკვე დაასრულა და გუნდი მე-19 ეროვნული ჩემპიონატის დასრულებისთანავე დატოვა.

კახა შალამბერიძე

დუშან უჰრინი

პაველ ქირანეკი „ერფურტის“ წინააღმდეგ

კალაძეს ტიტული მოენატრა

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და იტალიური „მილანის“ მცველი, 30 წლის კახა კალაძე ჩაგდებული სეზონის დავიწყებას და ახალი ტიტულების მოგებას აპირებს.

ამის თაობაზე კალაძემ იტალიელ ჟურნალისტებს განუცხადა: „ჩვენ მზად ვართ, ახალი ტიტულებისთვის ვიბრძოლოთ. ტიტულებში, ცხადია, სკუდეტოს და უეფას თასს ვგულისხმობ. ვფიქრობ, ჩვენი კონკურენტები ახალ სეზონში იმდენად ძლიერები აღარ იქნებიან, თუმცა მათ მაინც პატივისცემით უნდა შევხედოთ და გასული სეზონი საბოლოოდ დავივიწყოთ. „მილანს“ ეს შეუძლია“.

კახა შალამბერიძე

სიონმა ხელები მოიფშვნიტა

მამალაძე, ქემოკლიძე, სილაგაძე, ხუბუა, გონჩაროვი, უგრეხელიძე, ალავერდაშვილი, კუსრაშვილი — კიდევ ბევრი იქნებაო...

ბორის გონჩაროვი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ჩემპიონატში მოთამაშე შიდაქართლურ გუნდებში — რუსთავის „ოლიმპში“ და ბოლნისის „სიონში“ — დიდი მიდი-მოდია.

მოგეხსენებათ, „სიონის“ მთავარ მწვრთნელად ოთარ კორღალიძე დანიშნა და ახალი თავკაციც საქმეს შეუდგა. გუნდი თბილისში დღეში ორჯერ ვარჯიშობს.

„სიონი“ დატოვეს გიგა იაშვილმა, ლაშა ვაშაკიძემ და ბესიკ ქარდავამ. ისიც იცის „სარბიელის“ მკითხველმა, რომ „ზესტაფონში“ გადავიდნენ კამერუნელები: ერიკ რომეო ჩასემი და ბოიომო ფრიდოლინი.

ქვემოქართლელებს შევსება უფრო ხვავრიელი აქვთ — გადაიბირეს მეკარე ზურაბ მამალაძე, რომელმაც გასული სეზონი აზერბაიჯანულ „გაბალაში“ ჩაატარა, ცხინვალის „სპარტაკის“ მცველი რევაზ ქემოკლიძე და რუსთავის „ოლიმპის“ ნახევარმცველები, ლევან სილაგაძე და გელა ხუბუა.

კიდევ ერთი ახალწვეული თავდამსხმელი ბორის გონჩაროვია, ვისაც ადრეც უთამაშია „სიონში“; გუნდს დაუბრუნდა ვლადიმერ უგრეხელიძე, რომელმაც გასული სეზონი აზერბაიჯანულ „სტანდარდში“ გაატარა; თბილისის „ლოკომოტივიდან“ მივიდა გიორგი ალავერდაშვილი, ხოლო თბილისის „ვიტ ჯორჯიადან“ ფარნაოზ კუსრაშვილი.

როგორც ბოლნისური კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა გვითხრა, „სიონი“ რამდენიმე ფეხბურთელით კიდევ გაძლიერდება.

„სიონმა“ ორი ტესტ-მატჩი უკვე გამართა. ორჯერვე „ოლიმპს“ გაეჯიბრა და ორივე მარცხიანი გამოდგა — 0:2, 1:2.

ბოლნისელები დღეს კიდევ გამართავენ საკონტროლო მატჩს — აზერბაიჯანულ „ოლიმპიკს“ შეხვდებიან. მატჩი თენგიზ სულაქველიძის აკადემიის მოედანზე ჩატარდება და 18 საათზე დაიწყება.

12 ივლისს „სიონი“ ასევე აზერბაიჯანულ „სიმურგს“ გაეჯიბრება ამხანაგურად. ეს შეხვედრა ბოლნისის „თამაზ სტეფანიაზე“ ჩატარდება, სადაც მოედნის გასაახლებელი სამუშაოები მიმდინარეობს და ამ თამაშით მინდვრის ვარგისიანობასაც შეამოწმებენ. 14 ივლისს კი „სიონი“ ორკვირიან შეკრებაზე გრიგოლეთში წავა...

ᲜᲣᲒᲠᲘ ᲚᲝᲚᲐᲫᲔ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲝᲛᲐᲘᲐ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲝᲛᲐᲘᲐ: ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲐᲛᲓᲔ ᲝᲚᲘᲛᲞᲘ

საქართველოს ნაკრების მეკარე ისევ უგუნდოდაა და სხვადასხვა ქვეყნის კლუბების ვარიანტების იმედზეა. ლაპარაკია ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲝᲛᲐᲘᲐᲖᲔ, რომელიც ბოლოს რუსთავის „ოლიმპში“ თამაშობდა და მისივე თქმით, კონტრაქტი კი შესთავაზეს ქვემოქართლელებმა, მაგრამ თავი შეიკავა. ლომაიას განვლილ ევროპის ჩემპიონატზეც ველაპარაკეთ, თავიდან კი პირადი ამბებით დავიწყეთ...

— უკვე მერამდენედ, უგუნდოდ დარჩი...

— ცუდია, მაგრამ რას ვიზამ... ველოდები რაღაც წინადადებებს, თუმცა ჯერ არც კონკრეტულია რამე და არც არაკონკრეტული.

— ორი თვის წინ გავრცელდა ინფორმაცია, ლომაიას რუმინული კლუბის ვარიანტი აქვსო. ეს აღარ განიხილება?

— არა. რუმინეთზე არცაა ლაპარაკი. სხვადასხვა ქვეყნებში მუშაობენ აგენტები — რუსეთში, უკრაინაში, დასავლეთ ევროპაში... ვნახოთ, რა გამოვა...

— სად ვარჯიშობ?

— ინდივიდუალურად ვვარჯიშობ. შესაძლოა, „ოლიმპშიც“ დავიწყო მზადება.

— მხოლოდ მზადება? „ოლიმპში“ დარჩენაზე რას იტყვი?

— საქართველოს ჩემპიონატს ბოლო იმედად განვიხილავ, უცხოეთში მინდა წასვლა.

— კეთილი. ევროპის ჩემპიონატზეც გკითხავ: რამე სიახლეები დაინახე წმინდა სათამაშო თვალსაზრისით?

— პირველ რიგში, ღია, გახსნილი თამაშები იყო. კი, სხვა ჩემპიონატებშიც ყოფილა ასეთი მატჩები, მაგრამ ამდენი არა. სისწრაფე იყო მომატებული და ამის გამო ხდებოდა, რომ ორმხრივ შეტევებში ჩაიარა ბევრმა შეხვედრამ.

— ვის გულშემატკივრობდი?

— ესპანეთს, პორტუგალიას და ხორვატიას. ტექნიკური ფეხბურთი მიყვარს, ევროპაში ბურთი ყველაზე კარგად ამ ნაკრებებმა იციან. საერთოდ, ტექნიკური ფეხბურთის ჩემპიონატი იყო. ხომ ნახეთ, თურქებმაც როგორ ითამაშეს.

— **უეფამ ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად ხავი დაასახელა. შენი აზრით, ვინ იმსახურებდა ყველაზე მეტად?**

— რომელიმე ესპანელი — ეს აუცილებლად. ესპანეთის ნაკრებში მეკარით დაწყებული, თავდამსხმელით დამთავრებული, ყველა მაგარი იყო, მაღალ დონეზე ითამაშეს და ძნელია რომელიმეს გამოყოფა. ხავი არავისზე ნაკლები არ ყოფილა, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, სხვებზე ერთი თავით მაღლა იდგა-მეთქი.

— **მეკარეებზეც გვითხარი...**

— იკერ კასილიასი ყველაზე სტაბილური იყო, ფაქტობრივად, უშეცდომოდ ჩაატარა ტურნირი — სხვა ძლიერმა მეკარეებმა ეს ვერ მოახერხეს. პეტრ ჩეხის შეცდომა ჩეხებს ჯგუფში ჩარჩენად დაუჯდათ. დარწმუნებული ვარ, ჩეხს ასეთი ლაფსუსი ვარჯიშებზეც არ მოსდის, მაგრამ ესაა ფეხბურთი, როდის შეცდები, არ იცი. ჯანლუიჯი ბუფონსა და იენს ლემანსაც ზოგიერთი გოლისას შეეძლოთ გუნდის გადარჩენა.

ᲘᲚᲘᲐ ᲜᲐᲜᲝᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲞᲔᲜᲐᲚᲢᲘᲗ ᲞᲔᲜᲐᲚᲢᲘ

ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ 1:1 ᲖᲐᲠᲘᲐ

ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ: ბედიაშვილი, ბეჭვაია, კვახაძე (ყველაშვილი 46), ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე (მაისაშვილი 81), გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, მელქაძე (კვაღაძე 57), ღუჭაშვილი (ბერიაშვილი 46), ლიპარტია (როსტიაშვილი 75)

უკრაინულ შეკრებაზე მყოფმა „ვიტ ჯორჯიამ“ მეორე შეხვედრაც უკრაინის უმაღლესლიგელთან ჩაატარა — 1:1 ლუგანსკის „ზარიასთან“.

მე-11 წუთზე უკრაინელებმა პენალტით გახსნეს ანგარიში, „ვიტ ჯორჯიამ“ კი ზუსტად ათ წუთში უპასუხა — ჯაბა ლიპარტიას წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ლუკა რაზმაძემ ზუსტად შეასრულა.

მეორე ნახევარი „ვიტ ჯორჯიას“ უპირატესობით წარიმართა, თუმცა მეტი გოლის გატანა ნესტორ მუმლაძის შეგირდებმა ვეღარ შეძლეს.

მომდევნო მატჩს ვიტელები 8 ივლისს გამართავენ.

ᲙᲐᲮᲐ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ

ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐᲡ ᲢᲠᲜᲐᲕᲐ ᲢᲠᲐᲕᲛᲔᲑᲨᲘᲐ

„ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐᲡ“ საუეფასთასო მეტოქე ტრნავას „სპარტაკი“ ამხანაგურ შეხვედრაში 1:1-ზე გაეყარა სლოვაკეთის სუპერლიგიდან გავარდნილ „ტრენჩინს“.

„თეთრი ანგელოზები“ აგებდნენ და 44-ე წუთზე ლიუბომირ ბერნატმა გაათანაბრა.

მწვრთნელმა ვლადიმერ ვერმეზოვიჩმა ტრავმების გამო ხუთი ფეხბურთელი ვერ ათამაშა: პეტერ დოლეჟაი, მარტინ გუდანი, ბორივოე ფილიპოვიჩი, ბაბაქარ ნიანგი და ტომაშ ჰანცელი.

ვიტელებთან მატჩამდე ტრნაველები სამ ტესტ-მატჩს გამართავენ: 8 ივლისს სხვადასხვა შემადგლობით შეხვდებიან „პატსის“ და „სლოვაცკოს“, 12-ში კი ჩეხურ „ჟიჟკოვს“ შეერკინებიან.

„ტრენჩინთან“ ვერმეზოვიჩმა ასეთი შემადგენლობა თამაშა: *ჰრდინა — პონჩაკი, ჩიფერსკი, იაკუბიჩკა, ლ. ჰანცელი (ჰლავატოვიჩი 46) — კოპაჩკა (ბერნატი 46), კოპუნეკი (პროჰაზკა 73) — დურიში (ჟედუნოვი 77), იელენკოვიჩი, ჰრუშკა (ჰერესი 46) — კოჟუხი (ტომჩაკი 68).*

ᲘᲚᲘᲐ ᲜᲐᲜᲝᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲡ ᲞᲘᲠᲘ ᲛᲔᲝᲠᲔᲯᲔᲠ ᲣᲤᲔᲡᲔᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ თასის მფლობელი „ზესტაფონი“ თურქეთში აგრძელებს მზადებას.

იმერლებმა რამდენიმე დღის წინ ტესტ-მატჩი რომ გამართეს თურქეთის ქვედალიგელ „სანდიუფა ბელედიესფორთან“ და 5:0 იმარჯვეს, შაბათის „სარბიელში“ მოგახსენეთ. წესით, იმ დღეს თურქებთან კი არა, აზერბაიჯანის ჩემპიონ „ინტერთან“ უნდა ეთამაშათ ჩვენებს, თუმც მეტოქემ მოულოდნელად გეგმები შეცვალა.

„ზესტაფონს“ გუშინაც უნდა ეთამაშა, მაგრამ შეგულებულმა სპარინგ-პარტნიორმა პირი გატეხა.

ზესტაფონელებს მორიგი ტესტ-მატჩი 9 ივლისს აქვთ დაგეგმილი, თუ ისევ არ ჩაიშალა...

ᲜᲣᲒᲠᲘ ᲚᲝᲚᲐᲫᲔ

ᲔᲢᲝ ᲢᲔᲡᲢᲔᲑᲡ ᲘᲒᲔᲑᲡ

ᲣᲜᲒᲠᲣᲚᲛᲐ „დიორ ეტომ“ მორიგი ტესტ-მატჩი მოიგო: „ზესტაფონს“ საუეფასთასო მეტოქემ სლოვაკურ „კოშიცეს“ 1:0 სძლია პირველ ტაიმში ტომაშ კოლტაის გატანილი გოლით.

შანდორ ედერვარის გუნდში ორმა ახალმა ფეხბურთელმა ითამაშა — იმრე ბიჩაკმა და ლაიოშ ეუდენმა, რომლებიც აქამდე „დიორ ეტოს“ მეორე გუნდში ირიცხებოდნენ.

„კოშიცესთან“ უნგრელთა შემადგენლობა ასეთი იყო: *სტევანოვიჩი — ნიკოლოვი (ტოკოდი), შტარკი, ბანკი, პინტერი (პაკოლიჩი) — კოლტაი, ჟაკი (ეუდენი), ყოში (კისი), ბიჩაკი (ვოლვი) — ბაიზატი (ბრნოვიჩი), ბოორი.*

ᲞᲠᲝᲤᲚᲘᲒᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲮᲕᲐᲚ 14:00 საათზე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის საქტო დარბაზში საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის წევრი კლუბების კონფერენცია გაიმართება.

შეხვედრაზე ეროვნული ჩემპიონატის ბიუჯეტი დამტკიცდება, განიხილება მიმდინარე საკითხები და ისაუბრებენ უმაღლესი ლიგის კალენდარზე.

პროფლიგის პრესსამსახური

ალექსანდრე ამისულაშვილი

დავით სირაძეს პირველ ნალჩიკურ გოლს ულოცავენ

გოგიტა გოგუა

სირაძის პირველი, ამისულაშვილის მეორე
გოგუამ მწვრთნელს მაისურა ესროლა!

რუსული პრემიერლიგის მე-12 ტურში ნალჩიკის „სპარტაკმა“ შინ დავით სირაძისა და ალექსანდრე ამისულაშვილის გოლებით 2:1 სძლია იაროსლავლის „შინიკს“.

სირაძემ, ვინაც ცხვირის ტრავმით ითამაშა, იაროსლავლელთა კარში გოლი მე-7 წუთზე გაიტანა — მცველების შეცდომით ისარგებლა და თავურით გახსნა ანგარიში.

რაც შეეხება ამისულაშვილს, მან 48-ე წუთზე ულამაზესი გოლით გამოიჩინა თავი.

სირაძე 64-ე წუთზე გოგიტა გოგუამ შეცვალა და ცოტა უცნაურია, მაგრამ მას მოედნის დატოვება 18 წუთში მოუწია — მის ნაცვლად თამაშში კოჩუბეი ჩაერთო.

„გოგუა თამაშში ვერ ჩაერთო, რაც მისი მოქმედებებიდან ჩანდა. მან კარში ორჯერ იმ დროს დაარტყა, როდესაც ბურთი უნდა შეენარჩუნებინა და ფლანგზე გადაცემა გაეკეთებინა. გარდა ამისა, მას ის აგრესია არ ეტყობოდა, რაც შეცვლაზე შესულ ფეხბურთელს უნდა ჰქონდეს. თუმცა ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ, მსგავსი რამეები ხდება“ — განაცხადა „ნალჩიკის“ თავკაცმა იური კრასნოჟანმა.

რუსული სააგენტოების ცნობით, გოგიტა გოგუა ძალიან გაბრაზებულა იური კრასნოჟანის ამ გადაწყვეტილებით და შეცვლისას მწვრთნელისკენ მაისურაც უსვრია, თუმცა, როგორც ჩანს, ამ ამბავს სერიოზული გაგრძელება აღარ მოჰყოლია...

ძახა შალამბერიძე

კიევური სიო
სიომინმა ასათიანი მოითხოვა

კიევის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელ იური სიომინს თავის გუნდში საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მცველის, მალხაზ ასათიანის ხილვა სურს.

„კიელები ცენტრალურ მცველს ეძებენ. სიომინის აზრით, ამ შემთხვევაში, ერთ-ერთი საუკეთესო ვარიანტი ასათიანია. „დინამოს“ თავკაცი ქართველ ფეხბურთელს კარგად იცნობს, ვინაიდან „ლოკომოტივში“ მუშაობისას ასათიანს ბოლომდე ენდობოდა. ამჟამად, ტრავმების გადატანის შემდეგ, ასათიანს ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ აქვს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ავსტრიულ შეკრებაზე ასათიანმა მოსკოველთა მთავარ მწვრთნელ რაშიდ რახიმოვთან საერთო ენა ვერ გამონახა“ — იუწყება პიროვნება, რომლის ვინაობას რუსული „ტვოი დენი“ არ ამხელს.

რუსული პრესის ცნობით, სიომინი ასათიანს უკვე დაუკავშირდა და კიევში გადასვლა შესთავაზა...

„კიევის „დინამოს“ თავკაცის მხრიდან დიდი ინტერესის მიუხედავად, ასათიანი საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს. შარშან „ლოკომოტივმა“ მასთან ახალი კონტრაქტი გააფორმა და ხელფასიც გაუზარდა. ასე რომ, მას გუნდის შეცვლაზე დაფიქრება მოუწევს. რუსულ პრემიერლიგაში ნახევარ სეზონზე მეტი ჩასატარებელია და ქართველ ფეხბურთელს საკუთარი პოტენციალის გამოსავლენად დრო კიდევ აქვს. შესაძლოა, ამ შემთხვევაში, „ლოკომოტივის“ სამწვრთნელო შტაბმა ასათიანს ძირითად შემადგენლობაში მუდმივი ადგილი დაუბრუნოს“ — აცხადებს ინკოგნიტო.

ძახა შალამბერიძე

ნაბოლარა

საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა ევრო-აფრიკული ჩემპიონატის გათამაშებაში მესამე მატჩიც წააგო და ბოლო ადგილზე გავიდა.

ქართველები ჯგუფში ლიბიასთან (1:4) და პორტუგალიასთან (1:18) დამარცხდნენ, მეხუთე-მეექვსე ადგილებისთვის მატჩში კი ხორვატიასთან 1:5 დამთმეს.

„მუნდიალიტოს“ ფინალში, რომლის არბიტრიც ქართველი შოთა ქუხილავა გახლდათ, პორტუგალიამ უნგრეთი 7:0 გაანადგურა.

ლოკომოტივი 10 გოლს გაუშვებდა
როგორ გავხდით ეტცელას დასაცინი

თბილისის „ლოკომოტივის“ წამქცევმა, ლუქსემბურგულმა „ეტცელამ“ გუშინწინ ინტერტოტოს თასის მეორე ეტაპზე რამენსკოეს „სატურნთან“ 0:7 წააგო. რუსი ჟურნალისტები ნამატჩევს „ეტცელას“ ფეხბურთელს, შეცვლაზე შესულ დო როსარიოს გაესაუბრნენ...

— გასაგებია, რომ თქვენთვის არასასიამოვნოა, მაგრამ გაგვიზიარეთ მატჩის შთაბეჭდილებები...

— მეტოქე ერთი თავით ძლიერი იყო, ჩვენც, ფაქტობრივად, შანსი არ გვქონია, თუმც ეს გასაკვირიც არ არის. „სატურნში“ პროფესიონალები თამაშობენ, ჩვენ კი მოყვარულები ვართ. თუმცა რუსებთან თამაში მოგვეწონა და ლუქსემბურგში რომ ჩამოვლენ, ბოლომდე შევებრძოლებით.

— და ეგებ ფრესაც გამოჰკრათ ხელი...

— ეს საერთოდ შესანიშნავი იქნებოდა. ისე, 0:1 თუ წავაგებთ, ნორმალურად ჩავთვლით.

— შეგიძლიათ შეადაროთ „სატურნი“ და თქვენი წინა მეტოქე, ქართული „ლოკომოტივი“?

— ამ გუნდებს შორის გიგანტური სხვაობაა. „ლოკომოტივი“ „სატურნს“ რომ შეხვედროდა, ჩვენზე მეტ გოლს გაუშვებდა — ათს მაინც.

— „სატურნის“ შემადგენლობაში ვის გამოარჩევდით?

— იმ შავკანიან ბიჭს, მარჯვენივ რომ თამაშობდა. ძალიან ბევრი ირბინა.

— ეს თქვენი პირველი საერთაშორისო მატჩია?

— დიახ, დღეს პირველად ვითამაშე საერთაშორისო დონეზე.

— ის სიმართლეა, რომ თქვენი კლუბი ლუქსემბურგის თასის მფლობელია?

— „ეტცელას“ მოუგია თასი, თუმცა ეს ადრე იყო. გასულ სეზონში მეოთხედფინალიდან გამოვეთიშეთ გათამაშებას, ჩემპიონატში კი მეოთხე ადგილზე გავედით.

— „ეტცელა“ მოყვარულთა გუნდიაო, ამბობთ და, თქვენი ნამდვილი პროფესია რა არის?

— სტუდენტი ვარ. იმედი მაქვს, მომავალში პროფესორი გავხდები. ფრანგული ფილოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობ.

— გუნდში თუ გყავთ ერთი პროფესიონალი მაინც?

— არა.

— კიდევ რა პროფესიის ფეხბურთელები თამაშობენ თქვენს გუნდში, იქნებ რომელიმე პოლიციელიცაა?

— არა, არა... პოლიციელი არ გვყავს.

— ფოსტალიონი?

— არც ფოსტალიონი, ბანკირები გვყავს.

— თქვენი გუნდის მეკარე რითია დაკავებული?

— ექიმია. ასე რომ, თუ ჯანმრთელობის პრობლემები გექნებათ, მას ჩამოაკითხეთ.

სალუქვაძე ძირითადში, კვირკველია და რევიშვილი კი დუბლებში...

ნუკრი რევიშვილი

დავით კვირკველიას, ლაშა სალუქვაძისა და ნუკრი რევიშვილის ყაზანის „რუბინმა“ სამარაში „კრილია სოვეტოვთან“ მატჩში გამარჯვება ბოლო წუთებზე გაშვებული პენალტით დაკარგა.

გასაკვირია, მაგრამ გუნდის განაცხადში მხოლოდ სალუქვაძე მოხვდა.

ლაშამ თამაში ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და 81-ე წუთზე ჯეელტონმა შეცვალა, რომელმაც ესკობარი საჯარიმოში წააქცია და... რუსეთის პრემიერლიგის ლიდერმა სამარიდან ოდენ ქულა წაიღო.

კვირკველიამ და რევიშვილმა კი ერთი დღით ადრე „რუბინის“ სარეზერვო გუნდში ითამაშეს — რევიშვილი სრულად გაისარჯა, კვირკველია კი მოედანზე შესვენების შემდეგ გამოჩნდა.

შეხვედრა 0:0 დასრულდა.

ძახა შალამბერიძე

გვაზავა სრულად გამოჩნდა

ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიას“ ქართველმა ნახევარმცველმა ლევან გვაზავამ რუსული პრემიერლიგის მე-12 ტურში „ხიმკის“ წინააღმდეგ სრულად ითამაშა.

მატჩი ვლადივოსტოკში გაიმართა და 1:1 დასრულდა. გვაზავამ 81-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო.

12 ტურის შემდეგ „ლუჩ-ენერგია“ მე-14 ადგილზეა.

ძახა შალამბერიძე

იაშვილის დაბრუნება და გატანა

გერმანულმა „კარლსრუემ“ წინასასეზონოდ მესამე ტესტ-მატჩი გამართა, პირველ ორში კი ალექსანდრე იაშვილი არ გამოჩენილა. საქმე ისაა, რომ „იაშკას“ გუნდმა შედარებით ხანგრძლივი შვებულება მისცა სანაკრებო მატჩებში მონაწილეობის გამო.

აი, იაშვილიც დაბრუნდა და ეგრევე გოლი შეაგდო. „კარლსრუემ“ 4:0 სძლია „ოფენბურგს“ და ჩვენიანმა 33-ე წუთზე ანგარიში გახსნა. „კარლსრუეს“ მე-20 ნომერმა მხოლოდ პირველი ტაიმი დაჰყო მინდორზე, მერე კი მწვრთნელმა ედმონდ ბეკერმა შემადგენლობა მთლიანად შეცვალა.

ილია ნანოგაშვილი

განუგრავას ჰასიანი თასი

ჩეხურმა „მლადა ბოლესლავმა“ რვაგუნდა ტურნირი მოიგო, სადაც პრაღის „სლავია“, „ბრნო“ და ჩეხეთის და სლოვაკეთის სხვა გუნდები თამაშობდნენ.

გიორგი განუგრავას „მლადა ბოლესლავმა“ ფინალში „სლავიას“ 3:0 სძლია და ჩვენიანმა 80 წუთი ძალიან ყოჩაღად ჩაატარა — მეორე გოლი სწორედ მისი დამსახურება იყო, კარელ პეჩკას გაატანინა მე-17 წუთზე.

„ბოლესლავი“, ისევე, როგორც სხვა გუნდები, ცოტა ექსპერიმენტული შემადგენლობით იყვნენ ამ ტურნირზე.

განუგრავას ნახევარფინალში არ უთამაშია, სადაც მისმა გუნდმა ასევე 3:0 იმარჯვა „ბრნოსთან“ მატჩში.

ილია ნანოგაშვილი

ტატანაშვილის საგოლე ჰასი

ექსამერელმა დიმიტრი ტატანაშვილმა მესამე მატჩი ჩაატარა „პლზენში“ და პირველი საგოლე პასიც გაახერხა: „ტატანამ“ 26-ე წუთზე უპასა პეტრჟელას და ამ გოლით პლზენელებმა 1:0 სძლიეს ჩეხეთის ქვედალიგელ „იუსტ ლაბემს“.

ქართველმა თავდამსხმელმა ამ შეხვედრაში სრულად ითამაშა.

იმავე დღეს „პლზენმა“ სხვა შემადგენლობით ითამაშა „ბოჰემიანსთან“ და 0:2 დამარცხდა.

ილია ნანოგაშვილი

ლილუაშვილმა შანსი გაუშვა



სლოვაკური „ნიტრას“ ქართველმა თავდამსხმელმა ირაკლი ლილუაშვილმა ჩეხური „სიგმას“ წინააღმდეგ ამხანაგური შეხვედრა გამართა. „ნიტრამ“ ორი შემადგენლობით ითამაშა და ლილუაშვილი მეორე ტაიმში შევიდა მინდორზე.

შეხვედრის ბოლოს, როდესაც „ნიტრა“ 0:1-ს აგებდა, ლილუაშვილს ანგარიშის გათანაბრების შანსი მიეცა, მაგრამ დაახლოებით 5 მეტრიდან ზუსტად ვერ დაარტყა.

მერე „ნიტრამ“ ანგარიში მაინც გაათანაბრა და 1:1.

კახა შალამბერიძე

ქართველების დანიური ამბები

გიორგი ფოფხაძის „ვიბორგმა“ მორიგი ტესტ-მატჩი წააგო — დანიურ „ოლბორგთან“ 1:4 დამარცხდა, ჩვენიანმა კი მარცხენა მცველად ითამაშა.

ჯერჯერობით არ ვიცით, დარჩება თუ არა „ვიბორგის“ სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი დანიის მეორე ლიგის გუნდში. ცნობილია, რომ მის მსურველ გუნდთა შორის „ოდენსეცაა“ და, ვნახოთ...

რაც შეეხება „ორჰუსში“ გასინჯვაზე წასულ ოლიმპელ დავით დევდარიანს, მან ორი ტესტ-მატჩი ითამაშა (თითო ტაიმი) და ჯერ არ ვიცით, დაიტოვებენ თუ არა.

ილია ნანოგაშვილი

აშვეთიას გოლმა დააგვიანა

მახაჩყალის „ანჟიმ“ 20-მატჩიანი წაუგებელი სერია დონისპირეთში დაასრულა: ომარ თეთრაძის გუნდმა რუსეთის პირველი დივიზიონის ლიდერ „როსტოვთან“ 1:2 დათმო.

მიხეილ აშვეთიას პენალტით გატანილი დაგვიანებული გამოდგა, ეს 86-ე წუთზე მოხდა და დაღესტნელებს მეტის გასაკეთებლად დრო აღარ დარჩათ.

„ანჟიში“ ოთხმა ქართველმა — ვალერი აბრამიძემ, ზურაბ არზიანმა, მიხეილ აშვეთიამ და გიორგი ნავალოვსკიმ — 90-90 წუთი ითამაშა. გოჩა ხოჯავამ მეორე ტაიმი დაჰყო მინდორზე, რევაზ ჯიქია 81-ე წუთზე შევიდა, ხოლო რევაზ ბარაბაძე სათადარიგოებში დარჩა.

წაგების მიუხედავად, „ანჟი“ მეორე ადგილზე დარჩა, ანუ ამ მომენტისთვის პრემიერლიგაში გადამსვლელი საფეხური უკავია.



მიხეილ აშვეთია

ილია ნანოგაშვილი

აზერბაიჯანმა საზღვრები გახსნა

აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა ჩემპიონატში ლეგიონერების ლიმიტი მოხსნა.

აქამდე თითოეულ კლუბს მატჩის განაცხადში 7 ლეგიონერის შეყვანის უფლება ჰქონდა.

სხდომაზე გადაწყდა, რომ მომავალი სეზონიდან დუბლშემადგენლობების ჩემპიონატიც გაიმართება.

2008-09 წლების აზერბაიჯანის ჩემპიონატი 9 აგვისტოს დაიწყება და იქ, როგორც ადრე, ახლაც რამდენიმე ქართველი ითამაშებს.

კახა შალამბერიძე

17 წლის ქართველმა ფეხბურთელმა **თემურ ფარცვანიამ**, რომელსაც უკრაინის მოქალაქეობა აქვს, იქაურ ასაკობრივ ნაკრებებში თამაშობს და კიევის „დინამოსთან“ ერთად შეკრებაზეა, კლუბის ოფიციალურ ვებგვერდს ინტერვიუ მისცა და, ვფიქრობთ, ეს ინტერვიუ ქართველი მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემურ ფარცვანია: ჩემი დროც მალე დადგება

— იმ ფეხბურთელებს შორის, რომლებიც შეკრებაზე არიან, ყველაზე ახალგაზრდა ხართ. უფროსი პარტნიორები ადაპტაციის გავლაში გეხმარებიან?

— რა თქმა უნდა. როგორც ვარჯიშებზე, ასევე მოედანს მიღმა, გამოცდილი ფეხბურთელების მხარდაჭერას ვგრძნობ. თავის დროზე ხომ ისინიც ახალგაზრდები და გამოუცდელები იყვნენ, ამიტომ ჩემი მდგომარეობა კარგად ესმით.

— ვისგან შეიტყვეთ, რომ შეკრებაზე „დინამოს“ ძირითად შემადგენლობასთან ერთად მიდიოდით?

— „დინამო 2“-ში ჩატარებული ერთ-ერთი მატჩის შემდეგ, ჩვენი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა იური კალიტვინცევმა მითხრა, რომ ახალი სეზონისთვის მზადებას პირველ გუნდში დავიწყებდი. „დინამო“ შვებულებიდან 10 ივნისს გამოვიდა და მას შემდეგ ძირითად შემადგენლობასთან ერთად ვვარჯიშობ.

— თქვენი ახლობლები ამას როგორ შეხვდნენ?

— ყველა ნათესავს გაუხარდა და წარმატება მისურვეს. თან მირჩიეს, გამოცდილი პარტნიორებისა მაინცდამაინც არ მომრიდებოდა. თავის გამოჩენის კარგი შანსი მომეცა, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვიყენო.

— პირობებით კმაყოფილი ხართ?

— ცხადია. კარგ მოედანზე ვვარჯიშობთ და საუცხოო სასტუმროში ვცხოვრობთ. ნაყოფიერი მუშაობისთვის ყველა პირობაა შექმნილი.

— პირველი და მეორე გუნდის საწვრთნელ პროცესებს შორის რა განსხვავებაა?

— დიდი განსხვავება ნამდვილად არ არის. მეორე გუნდის მსგავსად, აქაც მძიმე და დაძაბული ვარჯიშებია. დიდი აქცენტი კეთდება ფიზმომზადებაზე. უბრალოდ, პირველი გუნდის ფეხბურთელები ყველაფერს გაცილებით სწრაფად და ხარისხიანად აკეთებენ. ვცდილობ, მათ არ ჩამოვრჩე, რაც მომავალში აუცილებლად გამომადგება.

— მოკლე პერიოდის განმავლობაში, „დინამოში“ ვარჯიში რამდენიმე მწვრთნელის — კონდრატოვის, ლიტვინენკოს, კალიტვინცევისა და სიომინის ხელმძღვანელობით მოგიწიათ. ყველაზე მეტად რომელი მათგანის სამწვრთნელო მეთოდიკაა თქვენთვის მისაღები?

— ყველა მწვრთნელი, ვისთანაც მიმუშავია, მსგავს მეთოდიკას იყენებს. ეს გასაკვირი არაა, რადგან ყველა „დინამოს“ სისტემაში საქმიანობს. იური სიომინიც ჩემი ყოფილი მწვრთნელების დარ მეთოდიკას იყენებს.

— თამაში რომელ პოზიციაზე გირჩევნიათ — დაცვაში თუ მოედნის ცენტრში?

— ამპლუით ცენტრალური მცველი ვარ. თუმცა ბოლო მატჩებში მწვრთნელები საყრდენ ნახევარმცველად მათამაშებდნენ და ამ პოზიციას ნელ-ნელა მივეჩვიე.

— მცველებთან ოლეგ ლუჟნი მუშაობს. იგი აქცენტს კონკრეტულად რაზე აკეთებს?

— ძირითადად, დასწრებაზე თამაშში, ზუსტი გადაცემის გაკეთებასა და ბურთის სწორად მიღებაში ვვარჯიშობთ. ივრძნობა, რომ ლუჟნიმ კარიერა ცოტა ხნის წინ დაამთავრა და ცდილობს, საკუთარი გამოცდილება გაგვიზიაროს.

— 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე რომელ გუნდს გულშემატკივრობდით?

— რაც თავი მახსოვს, ესპანელებს ვგულშემატკივრობ და ძალიან გახარებული ვარ, რომ წარმატებას მიაღწიეს. ჩემს პოზიციაზე მოთამაშე ფეხბურთელებს შორის კი, იდეალად ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ მცველი კარლეს პუიოლი მიმაჩნია.

— სეზონისწინა მოსამზადებელი პერიოდის გავლის შემდეგ პირველ გუნდში დამკვიდრების იმედი გაქვთ?

— რა თქმა უნდა, იმედი მაქვს. ჯერ მხოლოდ 17 წლის ვარ და სასწავლი კიდევ ბევრი მაქვს. ამიტომ მწვრთნელის ნებისმიერ გადაწყვეტილებას გულისყურით მოვეკიდები. ნებისმიერ შემთხვევაში, ნაწყენი არავისზე დავრჩები, რადგან პირველ გუნდთან ერთად შეკრების გავლა ჩემთვის დიდი გამოცდილებაა. პირიქით, გაორმაგებული ენერგიით ვივარჯიშებ, რათა პირველი გუნდის მწვრთნელებმა ყურადღება ისევ მომაქციონ.

ᲙᲕᲐᲠᲪᲘᲢᲘ QUARTZITE
ᲚᲘᲜᲘᲡ
უძრავი ქონება

რუმინეთი პატარებმაც შეჭამეს
შავი ზღვის თასი ფოთში დარჩა

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ფოთში დასრულებული სადებიუტო „შავი ზღვის თასის“ ფინალში რუმინეთის ნაკრებს 35:8 მოუგო და თასი საქართველოში დატოვა.

შეგახსენებთ, რომ ფოთში 17-წლამდელთა ოთხთა ტურნირი გაიმართა. საქართველოს გარდა დასავლეთ საქართველოს ნაკრებმა „კოლხმა რაინდებმა“, რუმინეთისა და უკრაინის ნაკრებებმა ირაგბეს. შეჯიბრებაზე დაპატიჟებული იყო რუსეთის ნაკრებიც, მაგრამ რუსებმა აქ ჩამოსვლა ისე იუარეს, მიზეზიც არ მოუწერიათ. რუსებმა თავისი იკითხონ, ჩვენ კი ჩვენების ვთქვათ.

ფოთში ქართველებმა რაგინდარა ასაკში ჩვენების ტრადიციულ მეტოქე რუმინეთს დასაწყისშივე დაუმთავრეს საქმე. მე-3 წუთზე ანზორ ხიპაშვილის მიერ გატანილ ლელოს 23-ე წუთზე ლევან ჩილაჩავამ, ხოლო 30-ე წუთზე უშანგი მჭედლიშვილმა თავიანთი წილი ლელოები მიამატეს და მეტოქე წელში გატეხეს. მეორე ტაიმში ჩვენებმა ჯარიმებით გაზარდეს სხვაობა და რუმინელთა „მომავალს“ გვარიანი სირცხვილი აჭამეს.

მესამე ადგილი კი „კოლხმა რაინდებმა“ დაიკავეს, რომლებმაც 6 ლელო დაუდეს უკრაინელებს და შინ ბოლო ადგილზე დატოვეს.

ფინალი
საქართველო 35:8 რუმინეთი

საქართველო: მჭედლიშვილი, გაბროშვილი, მარგიანი, ხიპაშვილი, ონიანი, კვარაცხელია, ლამბაშიძე; ჩილაჩავა, თხელიძე, ჭყოიძე (კაპ), ლოსაბერიძე, მიქაუტაძე, კვიწინაშვილი, ჯაჯაია, შენგელია
შეცვლაზე შევიდნენ: გოგოლაშვილი, კობახიძე, ჯინაშვილი, ერისთავი, რ. ულენტი
4ლ: ხიპაშვილი, ჩილაჩავა, მჭედლიშვილი, რ. ულენტი; 3გ: მჭედლიშვილი; 3ს: მჭედლიშვილი (2), კობახიძე

მესამე ადგილისთვის
კოლხი რაინდები 42:13 უკრაინა

კოლხი რაინდები: ფვანია, ანთიძე, ტორაძე, ბალიაშვილი, ქოიავა, თხილაიშვილი, ნადარაია, კვიციანაძე, გეგეშიძე, ჭურღულია, ანაკიძე, ვაჭარაძე, მამფორია, ხარაძე, მიქელაძე
შეცვლაზე შევიდნენ: ჩხიკვაძე, მორჩაძე, ქუთათელაძე, გიორგაძე, ჩაჩავა, ჯგუბურია, კუჭავა
6ლ: თხილაიშვილი, ნადარაია (2), ანაკიძე , ქოიავა, მიქელაძე; 3გ: ანაკიძე; 2ს: ანაკიძე

მსოფლიო დეკემბერში იყრება

რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) გამოაცხადა, რომ 2011 წლის მსოფლიოს თასის წილისყრა 2010 წლის 1 დეკემბერს მოეწყობა.

აქედანვე ცნობილია, რომ ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე წინა მსოფლიოს თასის 12 უკეთესი ნაკრები შესარჩევების გარეშე ითამაშებს. ესენი არიან: სამხრეთ აფრიკა, ინგლისი, არგენტინა, საფრანგეთი, ახალი ზელანდია, შოტლანდია, ფიჯი, ტონგა, ირლანდია, იტალია, ავსტრალია და უელსი. დანარჩენი რვა საგზურისთვის კი შესარჩევი ეტაპები გაისად დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ 2009-10 წლების ერთა თასის პირდაპირ მოხვდება მსოფლიოს თასზე. საქართველოს ნაკრებს შანსი აქვს, ორწრიანი ტურნირი მოიგოს და შესარჩევებს თავი აარიდოს. იქამდე კი IRB-მ განაცხადა, რომ მსოფლიოს თასის ჯგუფური ეტაპის წილისყრისას პირველად ამოქმედდება რეიტინგული პრინციპი, ანუ გუნდები კალათებში იმ მომენტისთვის რეიტინგში მათ მიერ დაკავებული ადგილების მიხედვით გადანაწილდებიან.

ბაჩო სვანიძე

საქართველოს ჩემპიონატი. VII ტური. 5-6 ივლისი

კვაჭმა კარი აიკლო

აკადემია 34:21 თსუ

აკადემია: სუთიძე, ბატოიანი, ნასიძე, მოლოდინაშვილი, დავითაშვილი; ქობილაშვილი, შ. დავითაშვილი; მურვანიძე, მაღლაკელიძე, ჩაჩუა, გელაძე, ობოლაძე, ლომსაძე, მეკოკიშვილი, ნიბლაძე
შეცვლაზე შევიდნენ: ბარბაქაძე, გაჩეჩილაძე, მჭედლიძე, ჭუაძე
3ლ: მურვანიძე, ნიბლაძე, გელაძე; 2გ: მეკომიშვილი; 5ს: მეკოკიშვილი
თსუ: კავთიძე, ტუჩაშვილი, კუპრეიშვილი, ნუცუბიძე, გოგეშვილი; ბაირამაშვილი, გოგია; გუნიავა, ტუჩაშვილი, დათუნაშვილი, მჭედლიძე, ალადაშვილი, დონაძე, კაკოვინი, ქორიძე.
შეცვლაზე შევიდნენ: ზამბახიძე, კილასონია
2ლ: გოგეშვილი, ზამბახიძე, 2გ: კუპრეიშვილი. 3ს: ბაირამაშვილი (2), კუპრეიშვილი

გასულ უქმეებზე „ლოკომოტივის“ სათადარიგო მოედანზე საქართველოს ჩემპიონატის გადადებული მატჩები გაიმართა. საინტერესო გამოდგა თსუ-სა და „აკადემიას“ დაპირისპირება. აკადემიელებმა დაძაბულ შეხვედრაში დაამარცხეს სტუდენტები.

მაიტჩში ანგარიში თსუ-მ გახსნა. საჯარიმო დარტყმა ზუსტად შეასრულა ბაირამაშვილმა, მაგრამ „აკადემიამ“ ლელო უმალვე გაიტანა და მთელი მატჩის განმავლობაში მდევრის როლში ამყოფა მეტოქე. აღსანიშნავია აკადემიელთა კვაჭის (№2), მეკოკიშვილის კარგი რაგბობა. პირველი ხახის მობურთალი გარდა ჯიგრიანი და ჭკვიანური თამაშისა, ზუსტი საჯარიმოებით და გარდასახვებითაც გამოირჩევა.

პირველი ნახევარი 13:11 დასრულდა და არავინ იცოდა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, მაგრამ მეკოკიშვილმა მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე ქულათა მარაგის გაზრდა დაიწყო საჯარიმო დარტყმებით. მას თანაგუნდელებმაც აუბეს მხარი. ეს ყველაფერი კი ლელოებში აისახა. სტუდენტებმა ბოლო წუთზე კარის გაჯახუნება მოახერხეს. სალელოვედ შეცვლაზე შესული ზამბახიძე გაისარჯა.

ზურაბ მიგრიაული

უმაღლესი ლიგა. 6 ივლისი

დინამო 27:22 ყოჩები
აია 21:19 ლელო
არმაზი 20:35 ლოკომოტივი

ლოკომოტივი	5	0	1	167:89	10
ლელო	5	0	2	147:143	10
ყოჩები	4	0	2	126:86	8
აია	3	1	3	119:127	7
თსუ	3	1	3	120:135	7
აკადემია	3	0	3	114:120	6
დინამო	1	0	5	110:140	2
არმაზი	1	0	6	113:176	2

I ლიგა. 5 ივლისი

ლოკომოტივი-2 21:12 დევები
ბათუმი 44:10 ხულიგანა
აია-2 8:13 რუსთავი
თიბილისი 12:21 ლელო-2

ბათუმი	7	0	0	220:86	14
რუსთავი	7	0	1	244:95	14
ლელო-2	4	0	3	230:165	8
ხულიგანა	4	0	3	132:119	8
აია-2	4	0	4	112:140	8
დევები	2	0	6	153:185	4
თიბილისი	1	0	7	118:236	2
ლოკომოტივი-2	1	0	6	43:226	2

სამი ერი. პირველი ტური

ახალი ზელანდია 19:8 სამხრეთ აფრიკა

ახ. ზელანდია: მულიანინა, სივივატუ, სმიტი, ნონუ, ვულფი, კარტერი, ელისი; კაინო, სოოიალო (კაპ), ტომპსონი, უილიამსი, სორნი, სომერვილი, ჰორი, ვუდკოკი
შეცვლაზე შევიდნენ: მილამუ, ტიალატა, ბორიჩი, ლაუაკი, კოუანი, დონალდი, მაკდონალდი
1ლ: კაინუ; 1გ: კარტერი; 4ს: კარტერი
ს. აფრიკა: ჯანტისი, ნდუნჰანე, ჯაკობსი, დევილიე, ჰაბანა, ჯეიმსი, იანუარი; ფანნიკერკი, ჯ. სმიტი, ბურნერი, მეტფილდი, ბოთა, ლინდე, ჯ. სმიტი (კაპ), სტენკამპი
შეცვლაზე შევიდნენ: დიუპლე, მუჯატი, ბეკერი, ვატსონი, კონრადი, შტეინი, მონტგომერი
1ლ: ჰაბანა; 1 ს: ჯეიმსი

შავებმა ჩემპიონი ტალახში აზილეს

თუ ვინმეს მიგიწვდებათ ხელი ისეთ საკაბელო არხებზე, რომლებიც ზერაგბის ბლომად აჩვენებენ, და ეს მატჩი არ ნახეთ, მაშინ ბევრი დაგიკარგავთ.

უეშხიანესმა ახალმა ზელანდიამ და მსოფლიოს ჩემპიონმა სამხრეთ აფრიკამ შაბათს, ჩვენი დროით დილის თორმეტის ნახევარზე ისეთი რაგბი გააჩაღეს, ინტრიგანი უნდა ყოფილიყავი, რამე წუნი გეპოვა. რა უნდა თქვა მატჩზე, რომლის შემხედვარე კაცი იფიქრებდი, ადამიანები კი არა, უცხოპლანეტელები რაგბობენო...

ახალმა ზელანდიამ, რომელსაც თორმეტიდან რვა ტურნირი აქვს მოგებული და ახლა მეცხრე ტიტულს უმიზნებს, სამხრეთ აფრიკა ისტუმრა და ძვლებისხრჭიალში ეშხიანი რაგბობით წინა მსოფლიოს თასიდან მოყოლებული პირველი მარცხი აგემა.

ველინგტონში საშინელი ავდარი იყო. კოკისპირულად წვიმდა და მოედანიც აიზილა. მოთამაშეები ისე მძიმედ გადაადგილდებოდნენ, რომ თამაში რინგზე მძიმეწონოსანთა ბრძოლას დაემსგავსა, მაგრამ იმიტომ არიან ახალი ზელანდია და სამხრეთ აფრიკა, რომ, ავდრის მიუხედავად, მუღამიანი რაგბი ითამაშონ. გაიბრწყინა მსოფლიოს ჩემპიონმა და საუკეთესო მორაგბემ ბრაიან ჰაბანამ, რომელმაც პირველ ტაიმში, მძიმე გრუნტის მიუხედავად, ჩვეული სიმსუბუქით გაინავარდა და მასპინძლები ღიმილ-ღიმილით დაალელოვა. იქამდე ანგარიში 9:3 იყო „შავების“ სასარგებლოდ და ჰაბანამ ერთ კინკილა ქულამდე მიუახლოვა თავისიანები წინ გაჭრილ მასპინძლებს.

მეორე ტაიმში კი ჰაბანას საფირმო ღიმილი შეაშრა. მოედანი კოლიზეუმს დაემსგავსა, ბოჭვა ბოჭვაზე მიდიოდა, დანდობა არ იყო, ლამის კისრის მალებში გადაამტვრიეს ერთმანეთი. ამ დაკა-დაკაში უფრო გამძლეები ახალზელანდიელი მორკინალები გამოდგნენ, რომლებმაც მეტოქის კუნთმაგარი და ბრგე ბიჭები ჩაჩეჩქვეს, თავიანთ ლიდერ დან კარტერს სრული თავისუფლება და ბურთი მისცეს. კარტერმაც ურტყა და ურტყა მეტოქის კარში და თავისიანებს სამი ერის სტარტზე პირველი გამარჯვება შოუპოვა.

ცნობისთვის: 1992 წლის აქეთ სამხრეთ აფრიკას ახალ ზელანდიაში არ გაუმარჯვია. „შავებმა“ კი 2003 წლიდან მოყოლებული, შინ ზედიზედ 30-ე მატჩი მოიგეს.

ბაჩო სვანიძე

ჟიტუს ათმა დინი გააოცა

ავსტრალია 40:10 საფრანგეთი

ავსტრალია: 4ლ: ჰეინესი, ჰორვილი, კროსი (2); 4 გ: ჟიტუ; 4ს: ჟიტუ
საფრანგეთი: 1ლ: ტინდიუ; 1გ: იაშვილი; 1ს: ტინდიუ

სამი ერის მესამე მშვენება ავსტრალია პირველ წრეში უქმობდა. ოზები მეორე წრეშიც იუქმებენ და სანამ სამ ერზე ომში ჩაებმებიან, იქამდე ტესტებით ხურდებიან.

ავსტრალიამ მეორე თამაში მოუგო სამხრეთულ ტურნეზე მყოფ საფრანგეთს. ოღონდ თუ წინა კვირას ასე თუ ისე დაინდო, ამჯერად მეტოქეს არ „მოეფერა“ და მათ შორის ბოლო 13 დაპირისპირებაში სარეკორდო სხვაობით დაამარცხა.

ნამატჩევს ფრანგთა მწვრთნელმა მარკ ლივრმონმა დაიჩივლა, საფრანგეთის ჩემპიონატის პლეი ოფის გადამკიდე რაზმი ძლივს შევაკოწიწე, ახლა თავის მართლება კი არა, სამომავლოდ ახალი გუნდის კეთება უფრო გვმართებსო. საფრანგეთის ჩემპიონატი ათი დღის წინ კი დასრულდა, მაგრამ იმ დროისთვის „მამლები“ უკვე სამხრეთში მიფრინავდნენ და მოწინავე ოთხი კლუბის სულ ნარჩევი ბიჭები ვერ დაიმატეს.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე ავსტრალიელი მეტ ჟიტუ გახდა, რომელიც მშვენივრად მოერგო ათი ნომრის პოზიციას. ჟიტუ ისე ათამაშდა, თავისიანებს, ეგებ სტივენ ლარკემი მალევე დაავიწყდეთ. ჟიტუმ მწვრთნელ რობი დინს ათქმევინა, ამ დონის ათი ნომერი ბოლო წლებში არ გამოჩენილაო.

ბაჩო სვანიძე

ოკეანეთის თასი

ტონგას პირველი

შაბათს ოკეანეთის თასის ერთი ტური ჩათამაშდა და იქამდე მოუგებელმა ტონგამ, როგორც იქნა პირველი ქულები მოიპოვა. ტონგა მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე 15:16 აგებდა, მაგრამ მატჩზე მისულ მეფეს, ჯორჯ მეხუთეს, იმედები არ გაუწბილა და ბოლო ორ წუთში მეტოქეს ორი ლელო გაუტანა, რითაც 4 ქულას ერთი პრემიალურიც დაუმატა.

ტონგა 27:16 ფიჯი

ავსტრალია A	4	0	0	202:56	3	19
მაორები	4	0	0	113:44	1	17
ფიჯი	2	0	3	94:117	2	10
სამოა	1	0	3	58:86	1	5
იაპონია	1	0	3	90:144	1	5
ტონგა	1	0	4	71:181	1	5

უიმბლდონი 2008. ბალახი. 23 ივნისი – 6 ივლისი. საპრიზო 14 883 120 J

ნადალი ბალახზეც რაფაელია

უიმბლდონის ვირუსი: ისევ ვინუსი

უუუუხ, რა ფინალი იყო!

გუშინ უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე ისეთი მატჩი გაიმართა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ემახსოვრებათ და რომელიც აუცილებლად დაიკავებს ადგილს ჩოგბურთის ისტორიაში. უიმბლდონზე რა არ უნახავთ და როგორი ბატალიების მომსწრენი არ გამხდარან, მაგრამ გუშინდელმა შეხვედრამ ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა, რადგანაც ასეთი მაღალი დონის ჩოგბურთისთვის, თანაც თითქმის 5 საათის განმავლობაში, დიდი ხანია არავის უცქერია.

ეს მართლაც ორი ტიტანის ჯახი იყო, ორი ზეადამიანის დაპირისპირება, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს და ყველაფერი ჩადეს მიზნის მისაღწევად. ეს იყო ორი უდიდესი ნებისყოფის, უძლიერესი სულისკვეთებისა და საოცარი ბრძოლისუნარიანობის მქონე მეჩოგნის ჯახი, რომელშიც ერთმაც და მეორემაც გამძლეობისა და გამარჯვებისკენ სწრაფვის სასწაული მაგალითი აჩვენეს.

სიმართლე რომ ითქვას, ძნელია იმ ემოციური მუხტიდან გამოსვლა, რაც ამ მატჩმა ჩოგბურთის ყველა ჭეშმარიტ მაყურებელს შესძინა. ორივე ჩოგბურთელმა იმდენი იომა, რომ კორტზე შეკრებილ გულშემატკივარს წასაგებად არც ერთი არ ემეტებოდა და მატჩის მიწურულისკენ ვეღარ აერჩია, რომლის მხარე დაეჭირა.

მატჩი უკეთესად ნადალმა დაიწყო. ესპანელი გაცილებით დაკვირვებით თამაშობდა და თავის შანსებს უფრო ფაქიზადაც იყენებდა. ფედერერს კი, ეტყობა ჯერაც მწარედ ახსოვდა „როლან გროსის“ ფინალში ერთი თვის წინ ნაწვნევი მარცხი და ამიტომ თავიდან შეეცადა, ესპანელს უკანა ხაზიდან თამაშში გაჯიბრებოდა. შვეიცარიელი მალევე მიხვდა ჩანაფიქრის სისულელეს და მატჩის რიტმის შეცვლა სცადა, მაგრამ უკვე გვიან იყო — ესპანელს ხელთ ეპყრა უპირატესობა და აკი პირველი ორი სეტიც დამაჯერებლად მოიგო.

აქ მართლაც ცოტა თუ მოიძებნებოდა ისეთი, რომელიც ფედერერის წარმატებაზე გახვრეტილ გროშს მაინც დადებდა — აი, ნადალს რომ ჰქონოდა ორი სეტი წაგებული, მისი ბრძოლისუნარიანობის პატრონისგან ყველაფერი იქნებოდა მოსალოდნელი.

მაგრამ სწორედ ამ დროს ალპელს სულზე მოუსწრო წვიმამ, რომლის გამო თამაში დაახლოებით საათნახევრით შეწყდა. ამ დროში შვეიცარიელმა ძალებიც აღიდგინა და თან გასახდელში სწორი დარიგებებიც მიიღო. შედეგად, „მხიარულმა როჯერმა“ შეძლო თამაშის გაძლიერება და ზედიზდ ორი სეტი ტაიბრეიკებზე მოიგო.

ისე, ნადალს მეოთხე პარტიაში უნდა მოეთავებინა საქმე, როდესაც ტაიბრეიკზე მას ორი მატჩპოინტი ჰქონდა. თუმც რკინის ნერვების მქონე ესპანელიც კი შედრკა და ხელიდან გაუშვა თავისი შანსი.

აქამდეც ხომ უმაღლესი დონის ჩოგბურთი მიდიოდა, გადამწყვეტ სეტში კი საერთოდ ფანტასტიური ჩოგნობა გაჩაღდა, რომელშიც არც ერთი არ აპირებდა გოჯის დათმობასაც კი. ამასობაში კი ლონდონში დაღამდა კიდეც და უკვე მატჩის ორშაბათზე გადატანაზე დაიწყეს ლაპარაკი, როცა ნადალმა მაინც გატეხა უკვე გვარიანად დაღლილი მეტოქე, ჯერ ბრეიკი გააკეთა, შემდეგ კი საკუთარ მოწოდებაზეც იყოჩაღა და...

მერე კი ნადალს მალიორკიდან ჩამოსული მთელი სანათესაო ეხვეოდა. ეგ კი არა, რაფას გამარჯვება ესპანეთის კრონპრინცმაც მიულოცა. დანარჩენებს არც ფედერერი ჩამორჩა, რომელმაც ჩვეული ჯენტლმენობა გამოიჩინა და ნადალს ზეიმი არ ჩაუშხამა.

ძახა ლომაშვილი

რაფაელ ნადალი

დაიბადა 1986 წლის 3 ივნისს მანაკორში (მალიორკა, ესპანეთი). ესპანეთის მოქალაქე. ცხოვრობს მანაკორში. სიმაღლე 185 სმ. წონა 85 კგ. პროფესიონალია 2001 წლიდან. კარიერის მანძილზე მოპოვებული აქვს ერთეულთა 29 (მათ შორის 5 დიდი სლემის: როლან გაროსი — 2005-08; უიმბლდონი — 2008) და წყვილთა 4 ტიტული. ჩატარებული 382 მატჩიდან 309 მოიგო და 73 წააგო. საპრიზოებით გამოიმუშავა 19 მილიონი დოლარი. კარიერის უმაღლესი ადგილი რეიტინგში — 2 (პირველად 2005 წლის 25 ივლისს).

ნადალი უიმბლდონ-2008-ზე

I **წრე**: ნადალი — ანდრეას ბეკი (გერმანია) 6:4 6:4 7:6

II **წრე**: ნადალი — ერნესტ გულბისი (ლატვია) 5:7 6:2 7:6 6:3

III **წრე**: ნადალი — ნიკოლას კიფერი (27, გერმანია) 7:6 6:2 6:3

IV **წრე**: ნადალი — მიხაილ იუჟნი (17, რუსეთი) 6:3 6:3 6:1

1/4 **ფინალი**: ნადალი — ენდი მიურეი (12, ბრიტანეთი) 6:3 6:2 6:4

1/2 **ფინალი**: ნადალი — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:1 7:6 6:4

ფინალი: ნადალი — როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) 6:4 6:4 6:7 6:7 9:7

ვინუს უილიამსმა შაბათს თავისი მეხუთე უიმბლდონი და მეშვიდე სლემტიტული მოიგო, მაგრამ სიხარული არაფრით გამოუხატავს — არც ტრადიციული ერთ ადგილზე ცქმუტვით, არც ჩვეული ირონიული ღიმილითა და არც მატჩისშემდგომი აღფრთოვანებული კომენტარებით. ამით ვინუსმა საკუთარი და დაინდო, რომელსაც ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, როგორც იქნა, მაინც მოერია.

სლემტურნირების ფინალებში ეს უკვე რიგით მეშვიდე უილიამსური ჯახი გაიმართა. გუშინდლადმე ამ შიდაოჯახურ ბატალიებში უმცროს სერენას გვარიანი უპირატესობა ჰქონდა, რადგანაც 5:1 მიჰყავდა — რაც ვინუსმა 2001 წელს აშშ-ს ღია პირველობის ფინალში დაამარცხა, მას შემდეგ უმცროს დაიკოს ვერაფრით გამკლავებოდა. მათ შორის აქ, უიმბლდონზეც, სადაც ვინუსმა ორჯერ, 2002 და 2003 წლებში, ტიტული სერენას დაუთმო.

ამიტომაც თქვა ნამატჩევს უფროსმა შავდამ:

„რა თქმა უნდა, ძალიან ბედნიერი გახლდით და ჭკუაზეც არ ვიყავი სიხარულისგან, მაგრამ კარგად ვიცოდი სერენა რასაც გრძნობდა — მე ხომ მის ადგილას არა ერთხელ ვყოფილვარ და ამიტომაც ვეცადე, თავი მაქსიმალურად შემეკავებინა“.

აი, სერენას კი აშკარად ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა და მიუხედავად იმისა, რომ ტიტული ოჯახში დარჩა, მაინც უჭირდა მარცხის მონელება. უმცროსი და მართლაც დაგეშილი იყო ჩემპიონობაზე და როგორც შემდეგ აღიარა, მატჩის წინ წაგება აზრადაც არ გაუვლია:

„ეს იოლი არ იყო, მაგრამ ვცდილობდი ვინუსისთვის, როგორც უცხოსთვის, ისე მეყურებინა. კორტზე უნდა დაგვევიწყებინა, რომ დები ვიყავით“.

ჩვენში დარჩეს და ეს ორივეს ძალიან კარგად გამოუვიდა. დები ქულების ასაღებად არაფერს, მათ შორის ერთმანეთისთვის ბურთის მორტყმასაც არ ერიდებოდნენ. ეს კი, როცა საქმე უილიამსებთან გაქვს, არცთუ უხიფათოა ჯანმრთელობისთვის, რადგანაც ორივე ისეთი ძალით უხათქუნებს, რომ მეტოქის გვარაიანდ დაზარალება შეუძლია. ასე მაგალითად, ერთ მომენტში სერენამ ბადესთან გასული ვინუსისთვის ჭკუის სწავლება მოინდომა და პირდაპირ სახეში დაუმიზნა, თუმც ამ უკანასკნელმა არათუ შეძლო თავის დაცვა, არამედ ისე დაუხვედრა ჩოგანი, რომ ქულა თავად აიღო. შემდეგ არც ვინუსი დარჩა ვალში და მეორე სეტის შუაწელიდან ჩაწოდებისას პირდაპირ სერენას უმიზნებდა.

მთლიანობაში კი თანაბარი ორთაბრძოლა იყო, რომელშიც თითქოს ყოველთვის წინ სერენა იყო, მაგრამ ვინუსი მაინც ახერხებდა მატჩის ჩარხის სათავისოდ შეტრიალებას. სტატისტიკაც თითქოს უმცროსი დის სასარგებლოდ მეტყველებს — სერენამ მეტი ეისი მოაწოდა (9:4), მეტი გათამაშება მოიგო (32:27) და ნაკლები შეცდომა დაუშვა (11:13). მაგრამ ვინუსი ერთ მაჩვენებელში იყო უკეთესი და ყველაფერიც ამან გადაწყვიტა — მან უკეთესად გამოიყენა თავისი შანსები და 7 ბრეიკ პოინტიდან 4-ჯერ აღო მეტოქის მოწოდება, მაშინ როცა სერენამ 13-დან მხოლოდ 2-ჯერ იხეირა.

თუმც ვინუსისთვის მთავარი ის იყო, რომ უმცროს დას ძალისმიერ თამაშში არ ჩამორჩა, რაც სერენასთვის ნამდვილ სიურპიზად იქცა. სხვათა შორის, უფროსმა დამ ფინალში ტურნირის ისტორიაში ყველაზე ძლიერი მოწოდება შეასრულა — ვინუსმა 207,6 კმ/სთ-ით გაისროლა ბურთი და თავისივე რეკორდი გააუმჯობესა.

ფინალიდან რამდენიმე საათში კი დები ერთად გავიდნენ კორტზე წყვილთა ფინალის სათამაშოდ და საცოდავი სამანტა სტოსურისა და ლიზა რეიმონდის დუეტი უსასტიკესად გაბრდღვნეს. შავდებისთვის ეს წყვილში მოგებული მესამე უილმბლდონი, მთლიანობაში კი მეშვიდე სლემტიტულია.

ასე რომ უილიამსთა კლანმა ლონდონში გვარიანად შეივსი ჯიბეები — მთლიანობაში 2,5 მილიონი დოლარი მოხვეტა და ოკეანისგაღმეთში გაუტია.

ძახა ლომაშვილი



ვინუს უილიამსი

დაიბადა 1980 წლს 17 ივნისს ლინვუდში (აშშ, კალიფორნიის შტატი), აშშ-ის მოქალაქე. ცხოვრობს პალმ ბიჩში (აშშ, მაიამის შტატი). სიმაღლე 185 სმ, წონა 72,5 კგ. პროფესიონალია 1994 წლიდან. კარიერის მანძილზე მოპოვებული აქვს ერთეულთა 37 (მათ შორის, 7 დიდი სლემის: უიმბლდონი — 2000-01, 2005, 2007-08; US OPEN — 2000-01) და წყვილთა 11 ტიტული. ჩატარებული 594 მატჩიდან 478 მოიგო და 116 წააგო. საპრიზოების სახით გამოიმუშავა 19,5 მილიონი დოლარი. უმაღლესი ადგილი რეიტინგში — 1 (პირველად 2002 წლის 25 თებერვალს).

ვინუს უილიამსი უიმბლდონ-2008-ზე

I **წრე**: ვ. უილიამსი — ნაომი კავედეი (ბრიტანეთი) 7:6 6:1

II **წრე**: ვ. უილიამსი — ენ კეტავონგი (ბრიტანეთი) 7:5 6:2

III **წრე**: ვ. უილიამსი — მარი მარტინეს სანჩესი (ესპანეთი) 6:3 6:4

1/4 **ფინალი**: ვ. უილიამსი — ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:4 6:3

1/2 **ფინალი**: ვ. უილიამსი — ელენა დემენტიევა (5, რუსეთი) 6:1 7:6

ფინალი: ვ. უილიამსი — სერენა უილიამსი (6, აშშ) 7:5 6:4

უიმბლდონ-2008-ის ქვედა ფინალი

კაცები: რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) 4:6 4:6 7:6 7:6 9:7

ქალები: ვინუს უილიამსი (7, აშშ) — სერენა უილიამსი (6, აშშ) 7:5 6:4

კაცთა წყვილები: დანიელ ნესტორი, ნენად ზიმონიჩი (2, კანადა, სერბეთი) — იონას ბიორკმანი, კევინ ულიე (8, შვედეთი, ზიმბაბვე) 7:6 6:7 6:3 6:3

ქალთა წყვილები: ვინუს და სერენა უილიამსები (11, ორივე — აშშ) — ლიზა რაიმონდი, სამანტა სტოსური (16, აშშ, ავსტრალია) 6:2 6:2

შერეული წყვილები: ბობ ბრიანი, სამანტა სტოსური (აშშ, ავსტრალია) — მაიკ ბრიანი, კატარინა სრებოტნიკი (1, აშშ, სლოვენია) 6:4 7:5

ბიჭები: გრიგორ დიმიტროვი (9, ბულგარეთი) — ჰენრი კონტინენი (ფინეთი) 7:5 6:3

გოგონები: ლაურა რობსონი (ბრიტანეთი) — ნოპავან ლერტჰევაკარანი (3, ტაილანდი) 6:3 3:6 6:1

ბიჭთა წყვილები: ჩენ პენგ ჰსი, ცუნგ ჰუა იანი (ორივე ტაივანი) — მეტ რიდი, ბერნარდ ტომიჩი (3, ორივე — ავსტრალია) 6:4 2:6 12:10

გოგონათა წყვილები: პოლონა ჰერცოგი, ჯესიკა მური (6, სლოვენია, ავსტრალია) — იზაბელა ჰოლანდი, სეილი პირსი (ორივე — ავსტრალია) 6:3 1:6 6:2

ფავორიტების ბოლო სიტყვა

ისე მოხდა, რომ პარასკევ საღამოსთვის 95-ე „ტურ დე ფრანსის" მონაწილე გუნდების ოფიციალური განაცხადები ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი. სწორედ ამ მიზეზით ეგრეც ვერ დავამთავრეთ წლევანდელი „ტურის" მონაწილე გუნდების წარდგენა. არადა, იმ ველოგუნდებს შორის, რომელთა შესახებაც „ტურის" დაწყებამდე არ გვისაუბრია, ფავორიტების — ალეხანდრო ვალვერდეს, კედელ ევანსის, დამიანო კუნეგოს გუნდებიც იყვნენ. ამიტომაც დღეს გთავაზობთ იმ გუნდების განაცხადებს, რომელთა ზუსტი შემადგენლობებიც სულ ბოლო მომენტში გახდა ცნობილი და ამავდროულად, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ წლევანდელი „ტურ დე ფრანსის" მონაწილე გუნდებს, მათ ლიდერებსა და ხელმძღვანელებს.

ლოტო (ბელგია)

ამ ბელგიური გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალა ავსტრალიელები არიან — კედელ ევანსი და თანამედროვე ჰელოტონის ერთ-ერთი საუკეთესო სპრინტერი რობი მაკიენი. უკრაინელი იაროსლავ პოპოვიჩის საზით, ევანსს უაღრესად ძლიერი თანაშემწე ჰყავს.

ამ სამეულის გარდა გუნდში ერთი იტალიელია, დარიო ნოჩიონი, დანარჩენები კი ბელგიელები არიან — მარიო აერტსი, კრისტოფ ბრანდტი, ლეიფ ჰოსტე, იოჰან ვან ზუმერენი და ეიმ ვანსეევანანტი.

პაის დეპარნი (ესპანეთი)

ამ გუნდში ირიცხება ის ერთადერთი კაცი, ვისაც წლევანდელი რბოლის მონაწილეებიდან „ტური" მოუგია. 2006 წელს, ფლოიდ ლენდისის დისკვალიფიკაციის შემდეგ, ჩემპიონად ოსკარ პერეირო სიო გამოცხადდა. მაგრამ, მიუხედავად ამ მაღალი სტატუსისა, პერეირო სიო გუნდის მეორე ნომერია და ვალვერდეს გრეგარობისთვის არის განწირული.

სატურდეფრანსო განაცხადში ვერ მოხვდა უაღრესად ძლიერი რუსი, შარშანდელი „შვეიცარიის ტურის" გამარჯვებული ვლადიმირ კარპეცი. ვალვერდესა და პერეირო სიოს გარდა, გუნდში კიდევ ხუთი ესპანელია — დავიდ არეოო, ვისენტე გარსია აკოსტა, ხოსე გუტიერესი, დავიდ ლოპეს გარსია და ლუის ლეონ სანჩესი, რომლებსაც კომპანიონობას ფრანგები, არნო კოიო და ნიკოლა პორტალი გაუწევენ.

ლამპრე (იტალია)

„ჯირო დიტალიას" ძველმა ჩემპიონმა დამიანო კუნეგომ წლეულს მთელი აქცენტი „ტურზე" გააკეთა და ტყუილად არ ითვლება ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად.

ყვითელი მაისურასთვის ბრძოლაში კუნეგოს დახმარებას თანამემამულენი — ალესანდრო ბალანი, მატეო ბონო, მარსიო ბრუზეგინი, მარკო მარძანო, მასიმილიანო მორი, დანიელე რიჩი, პაოლო ტირალონგო და პოლონელი სილვესტერ უმუდი გაუწევენ.

AG2R (საფრანგეთი)

გუნდის ლიდერი ფრანგი სირილ დესელი იქნება, რომელმაც „აგრიტუბელში" გადასული კრისტოფ მოროს ადგილი დაიკავა. თუმც, რბოლის მსვლელობისას გუნდი, შეიძლება, რუს ვლადიმირ ეფიმკინზე, ანაც სლოვენიელ ტადეი ვალჟავეცზე გადაეწყოს. ამათ გარდა განაცხადში არიან: ესპანელი ხოსე ლუის არიეტა, შვეიცარიელი მარტინ ელმიგერი და ფრანგები — კრისტოფ რიბლონი, სტეფან ფუბერი, იონ გადრე და ჰუბერტ დიუპონი.

აგრიტუბელი (საფრანგეთი)

ბოლო ათწლეულის საუკეთესო ფრანგი მრბოლი კრისტოფ მორო კიდევ ერთხელ, ამჯერად „აგრიტუბელის" სახელით შეეცდება, მასპინძელთათვის 1985 წლის, ანუ ბერნარ ინოს ბოლო ტრიუმფის შემდეგ დაუპყრობელი საჩემპიონო მწვერვალის დაპყრობას, თუმც გამოვთქვამთ ვარაუდს და ვიტყვით, რომ მოროს ველოსიპედმა უკვე ჩაიარა.

ვეტერან ფრანგს გვერდით თანამემამულენი — ფრედი ბიშო, ჯიმი კასპერი, რომან ფეილუ, ნიკოლა ჟალაბერი, დევიდ ლელეი, ჟოფრეი ლეკუატრე, ნიკოლა ეოგონდი და ესპანელი ედუარდო გონსალო რამირესი დაუდგებიან.

კრედიტ აგრიკოლი (საფრანგეთი)

„კრედიტ აგრიკოლს" მძლავრი უნივერსალი არ ჰყავს, ამიტომაც აქცენტს სპრინტერულ ეტაპებსა და ნორვეგიელ ტორ ჰუსჰოვდზე გააკეთებს. სწორედ ჰუსჰოვდი ითვლება ამ ფრანგული გუნდის ლიდერად.

ნორვეგიელის გარდა გუნდში ირიცხებიან რუსი ალექსანდრ ბოჩაროვი, ყაზახი დმიტრი ფოფონოვი, ავსტრალიელები — საიმონ ჯერენსი, მარკ რენშოუ და ფრანგები — რემი პურიოლი, კრისტოფ ლემეველი, ჯიმი ენჟელვენი და ვილიამ ბონე.

ბუჟ ტელეკომი (საფრანგეთი)

„ბუჟ ტელეკომის" ლიდერი ტომას ვოლკერია. მის გარდა გუნდში კიდევ ოთხი ფრანგია — პიერიკ ფედრიგო, ლორან ლეფევრი, ჟერომ პინო და მეტიო სპრიკი, რომელთაც კომპანიონობას შვეიცარიელი იოჰან შპოპი, ესპანელი ხავიერ ფლორენსიო, რუსი იური ტროფიმოვი და ჰოლანდიელი შტეფ კლემენტი გაუწევენ.

დამიანო კუნეგო

ალეხანდრო ვალვერდი

ვალვერდე ეგრეევე გაყვითლდა

შაბათს საფრანგეთის უკიდურეს დასავლეთში, ბრეტანის ნახევარკუნძულზე რიგით 95-ე „ტურ დე ფრანსი" დაიწყო. 1966 წლის შემდეგ პირველად, „ტური" ინდივიდუალური პროლოგით კი არა, ჩვეულებრივი ჯგუფური რბოლით გაიხსნა და 180-კაციანმა ველოქარავანმა ბრესტიდან პლუმელეკამდე 197,5 კილომეტრი გაიარა.

ეტაპი ბარის იყო, მაგრამ ზედ ფინიშის წინ მცირე, ასე ერთკილომეტრიანი აღმართი იყო ასავალი და მთავარი ამბები, სწორედ ამ აღმართში მოხდა.

მანამდე იყო გაქცევის რამდენიმე მცდელობა, მაგრამ პელოტონმა ყველა წინ წასული ჩაყლაპა. სულ ბოლოს ფრანგმა რომან ფეილუმ და გერმანელმა შტეფან შუმახერმა წამოიწყეს იერიში, მაგრამ ძირითადი ჯგუფი მათაც დაეწია და როდესაც ფინიშამდე 500 მეტრიღა რჩებოდა, წინ ამერიკული „კოლუმბიას" ლუქსემბურგელი ლიდერი კიმ კირხენი გავარდა.

გავარდა და თითქოს მოიგო კიდეც ეტაპი, მაგრამ ამ დროს სცენაზე ალეხანდრო ვალვერდე გამოჩნდა. ესპანელი უნივერსალი რბოლის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია და მთებში სიარულის გარდა, მას ასეთი, სპრინტერული აჩქარებებიც ეხერხება, რისი წყალობითაც ერთდღიანი კლასიკური რბოლებიც არაერთხელ მოუგია.

ვალვერდე კირხენს ფინიშამდე 100 მეტრით ადრე დაეწია და ამის შემხედვარე ლუქსემბურგელმა საერთოდ ჩაიქნია ხელი, ესპანელმა კი სპრინტერული ეტაპებისთვის მეტად კომფორტული, ერთწამიანი უპირატესობით იმარჯვა, ეტაპის მომგების სარგო საბონუსე წამებიც ჩაიწერა და ფინიშის შემდეგ ლიდერის ყვითელი მაისურა მოირგო.

ვალვერდეს ალბათ ურჩევნია, რომ ეს მაისურა 27 ივლისს, პარიზში ეცვას, მაგრამ ასეთი დასაწყისის შემდეგ არც ის გაგვიკვირდეს, თუ ესპანელი ამ მაისურას ბოლომდე აღარც გაიხდის.

ფინიშამდე 9 კილომეტრით ადრე კი კარგა გვარიანი დრამა დატრიალდა. შარშანდელი „ტურის" საუკეთესო სამთო მრბოლი, ბრიტანული „ბარლვორლდის" კოლუმბიელი ლიდერი ხუან მაურისიო სოლერი ერობაშად ტკივილებისგან გაწამებული შეჩერდა და შემდეგ, თანაგუნდელების დახმარებით, ძლივსღა უწია ფინიშს ვალვერდესთან სამწუთიანი ჩამორჩენით.

გუშინდელი, მეორე ეტაპი, რომელიც ისევ ბრეტანში ჩატარდა და აურეისა და სენტ ბრის შორის 164,5 კილომეტრზე იყო გაჭიმული, „კრედიტ აგრიკოლის" ნორვეგიელმა ლიდერმა ტორ ჰუსჰოვდმა საფინიშო სპურტით მოიგო, აჯობა რა „კოლუმბიას" მრბოლებს, კირხენსა და ჯერალდ ციოლეკს.

ვალვერდემ ფინიშს მოწინავე ჯგუფში, მეთორმეტემ უწია და ლიდერობა შეინარჩუნა.

გუნდები, მათი ლიდერები და ხელმძღვანელები

გუნდი	ლიდერი	დირექტორი
1. ლოტო (ბელგია)	კედელ ევანსი (ავსტრალია)	ჰერმან ფრისონი
2. CSC (დანია)	კარლოს სასტრე (ესპანეთი)	კიმ ანდერსენი
3. ეუსკალტელი (ესპანეთი)	აიმარ სუბალდია (ესპანეთი)	გორკა გერიკაგოიტია
4. კაის დეპარნი (ესპანეთი)	ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი)	ხოსე ლუის ხაიმერენა
5. კოლუმბია (აშშ)	კიმ კირხენი (ლუქსემბურგი)	ბრაიან ჰოლმი
6. ბარლვორლდი (ბრიტანეთი)	ხუან მაურისიო სოლერი (კოლუმბია)	ვალერიო ტეველდი
7. ლიქუიგასი (იტალია)	რომან კროიციგერი (ჩეხეთი)	სტეფანო ძანატა
8. ლამპრე (იტალია)	დამიანო კუნეგო (იტალია)	მაურიციო პიოვანი
9. კრედიტ აგრიკოლი (საფრანგეთი)	ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია)	სერუ ბუშერი
10. ქვიკ სტეპი (ბელგია)	სტიინ დევოლდერი (ბელგია)	ვილფრედ პეეტერსი
11. AG2R (საფრანგეთი)	სირილ დესელი (საფრანგეთი)	ვენსან ლავენიუ
12. გეროლშტაინერი (გერმანია)	მარკუს ფოტენი (გერმანია)	ჰანს-მიხაელ ჰოლცერი
13. აგრიტუბელი (საფრანგეთი)	კრისტოფ მორო (საფრანგეთი)	დენის ლერუა
14. რაბობანკი (ჰოლანდია)	დენის მენშოვი (რუსეთი)	ერიკ ბრეიკინკი
15. ბუჟ ტელეკომი (საფრანგეთი)	ტომას ვოკლერი (საფრანგეთი)	ჟან-ფრანსუა როდრიგესი
16. მილრამი (გერმანია)	ერიკ ცაბელი (გერმანია)	ვიტორიო ალჯერი
17. ფრანსაიზ დე ჟუ (საფრანგეთი)	სანდი კასარი (საფრანგეთი)	მარკ მადიუ
18. სონი დიუვალი (ესპანეთი)	რიკარდო რიკო (იტალია)	იოხენ ფერნანდესი
19. კოფიდისი (საფრანგეთი)	სილვენ შავანელი (საფრანგეთი)	ფრანსუა ვან ლინდერსელე
20. სლიპსტრიმი (აშშ)	დევიდ მილარი (ბრიტანეთი)	მეტიუ ვაიტი

I ეტაპი. ბრესტი — პლუმელეკი. 197,5 კმ.

1. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი")	4სთ 36წთ 07წმ
2. ფილიპ ჟილბერი (საფრანგეთი, „ფრანსაიზ დე ჟუ")	%1წმ
3. ჟერომ პინო (საფრანგეთი, „ბუჟ ტელეკომი")	
4. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „კოლუმბია")	
5. რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი")	ცხელას იგივე ჩამორჩენა

II ეტაპი. აურეი — სენტ ბრი. 164,5 კმ

1. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, „კრედიტ აგრიკოლი")	3სთ 45წთ 13წმ
2. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „კოლუმბია")	
3. ჯერალდ ციოლეკი (გერმანია, „კოლუმბია)	
4. რობერტ ჰანტერი (სამხრეთ აფრიკა, „ბარლვორლდი")	
5. ერიკ ცაბელი (გერმანია, „მილრამი")	ცხელას იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი")	8სთ 21წთ 20წმ
2. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „კოლუმბია")	%1წმ
3. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი")	
4. ხუან ხოსე კობო (ესპანეთი, „სონი დიუვალი")	
5. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო")	ცხელას იგივე ჩამორჩენა

ჰემილტონი, როგორც თევზი წყალში

დავიწყოთ ბოლოდან: დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზის შემდეგ ცენერალური კლასიფიკაციის სათავეში ერთბაშად სამი პილოტია — ფერარელებს, ფელიპე მასასა და კიმი რაიკონენს კომპანიას მაკლარენელი ლუის ჰემილტონი უწევს და ამ სამეულს ოდენ ორი ქულით ჩამორჩება „BMW-ზაუბერის" რობერტ კუბიცა, რომელიც ორი ეტაპის წინ, სულაც პირველი იყო.

ახლა ორიოდე დღით უკან გადავინაცვლოთ და გავიხსენოთ, რომ სინოპტიკოსებმა შაბათისთვის, ანუ კვალიფიკაციისთვის გარანტირებულად წვიმა იკარაუდეს, ხოლო კვირისთვის, ანუ რბოლისთვისი ავდრის ალბათობა 75 პროცენტად შეაფასეს.

პირიქით მოხდა — შაბათსაც არეული ამინდი იყო, ძლიერი ქარი უბერავდა, მაგრამ არ გაწვიმებულა, ხოლო კვირას რბოლის დაწყებისთანავე დასცხო და გვარიანად აურ-დაურია დათვრები გუნდებსა და პილოტებს.

კვალიფიკაცია, კარიერაში პირველად, „მაკლარენ-მერსედესის" ფინელმა პილოტმა ჰეიკი კოვალაინენმა მოიგო და ეს იყო „მაკლარენის" ისტორიაში 136-ე, ხოლო „მერსედესისთვის" 65-ე პოული.

ფინალ'ხე არანაკლებ გახარებული იყო მეორე შედეგის მქონე მარკ ვებერი. „რედ ბულის" და მისი ავსტრალიელი პილოტის პროგრესი აშკარაა და სილვერსტოუნის ზესწრაფ ტრეკ'ზე კვალიფიკაციაში დაკავებული მეორე ადგილი ამის კიდევ ერთი დადასტურებაა.

მეორე სასტარტო რიგში ფავორიტები — რაიკონენი და ჰემილტონი დადგნენ, მესამეში — „BMW-ზაუბერის" ნიკ ჰაიდფელდი და ორგზის ჩემპიონი რენოელი ფერნანდო ალონსო, მეოთხეში — ალონსოს ბრაზილიელი თანგუნდელი ნელსონ პიკე და ჰოი, საოცრებავ — „ტორო როსოს" გერმანელი მძღოლი სებასტიან ფეტელი, რომელმაც მასა და კუბიცა მოიტოვა უკან.

მასას მეცხრე ადგილი „ფერარის" მექანიკოსების ბრალი იყო, რომლებსაც პიტ-სტოპზე პრობლემები შეექმნათ და ბრაზილიელმა სწრაფ წრეზე წასვლა ვეღარ შეძლო.

თუმცა, დაიწყო რბოლა, დაიწყო წვიმა და დიდი მნიშვნელობა უკვე აღარ ჰქონდა, ვის რა სასტარტო პოზიცია ეკავა.

ჰემილტონმა დიდებული სტარტი აიღო, ეგრევე გაუსწრო რაიკონენსა და ვებერს და ცოტა დააკლდა და თანაგუნდელსაც უკან მოიტოვებდა.

კოვალაინენისა და ჰემილტონის უმძაფრესი ბრბოლა წყალში კიდევ რამდენიმე წრეს გაგრძელდა და და მერე ბრიტანელმა მაინც გაუსწრო ფინელს.

ჰემილტონს უკან კი კომშარი ტრიალებდა. პირველი შოტლანდიელი ვეტერანი დევიდ კულტჰარდი გავარდა, მას ეგრევე მიჰყვა ფეტელი. შემდეგ ვებერი მოსრიალდა და ერთბაშად ბოლოში აღმოჩნდა. ამასობაში მასას მასკარადიც დაიწყო — ლამის ყოველ მეორე წრეზე ბრაზილიელი ტრასიდან გადადიოდა, თუმც დაბრუნებას ახერხებდა და ჰელოტონის კუდში მყოფი ახალისებდა მაყურებელს.

პირველი პიტ-სტოპებისთვის კოვალაინენ რაიკონენმაც ჩაყლაპა. მსოფლიოს ჩემპიონმა მაგრად მოუმატა, ზედზედ მეექვსედ (!) უსწრაფესი წრე მითვალა და თითქმის ჰემილტონთან ერთად შეუხვია ბოქსებისკენ. თითქმის არ ითვლება, გამოსვლისას წინ მაინც ინგლისელი აღმოჩნდა და თანაც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, „ფერარის" შტაბი აშკარად შეცდა საბურავების შერჩევაში — ეტყობა იფიქრეს, წვიმა გადაიღებსო, არადა ხელმეორედ დასცხო და მასას კოშმარი ხომ გაგრძელდა. რაიკონენმაც ერთბაშად აურია და ისევ ბოქსებისკენ გაეშურა, იქიდან დაბრუნებული კი ათეულშიც აღარ იყო.

ყველა მოცურდა, ყველას რაღაც დაემართა, თვით ჰემილტონსაც კი, მაგრამ ის, უკვე ძალზე წინ იყო და ინგლისელმა მრბოლმა უზარმაზარი უპირატესობით იმარჯვა მშობლიური ქომაგების თვალწინ. თანაც, ნუ დავივიწყებთ, რომ ამ თვენახევრის წინ ლუისმა მონტე კარლოშიც საშინელ წვიმაში მოიგო და გამოდის, რომ პირველ ფორმულას ახალი „წვიმის კაცი" გამოუჩნდა.

სეზონის დაწყებამდე პირველ რიგში სამი რბოლის მოგებაზე ოცნებობდიო — თქვა ამას წინათ ჰემილტონმა — სასტარტო ეტაპის, მონაკოს დიდი პრიზის და, რა თქმა უნდა, მშობლიური რბოლისო. სამივე მოიგო და ბოლო ორ ეტაპზე უქულოდ დარჩენის შემდეგ მომრავლებული კრიტიკოსები დაადუმა.

კვლავ სეზონის მეცხრე რბოლაში მეშვიდედ, პოდიუმზეა „BMW-ზაუბერის" პილოტი. ამჯერად ჰაიდფელდი იყო მეორე და მესამეზე კი ალალი იყოს, ვეტერანი ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო გავიდა, ვისთვისაც გუშინდელი შეჯიბრი კარიერაში 261-ე დიდი პრიზი და 257 რბოლა იყო (ოთხ შემთხვევაში ბარიკელო დიდი პრიზის მონაწილეთა შორის კი იყო, მაგრამ რბოლაში ვერ გავიდა).

არადა, რუბინიომ სტარტი მე-16 პოზიციიდან აიღო, მაგრამ „ჰონდას" დიდოსტატი შეფის, როს ბრაუნის მიერ დიდებულად შერჩეული ტაქტიკის და საბურავების წყალობით უზარმაზარი ნახტომი გააკეთა და თავისი გუნდისთვის სეზონში პირველი, ხოლო საკუთარ კარიერაში 62-ე პოდიუმი მოიპოვა.

ძახა ლომაძე

ფორმულა 1 — 59-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეცხრე ეტაპი

რბოლის შედეგები

დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი
6 ივლისი. სილვერსტოუნი
დისტანცია 60 წრე — 308,355 კმ

1(4). ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, „მაკლარენ-მერსედესი") 1 სთ 39 წთ 09,440 წმ
საშ. სიჩქარე 186,585 კმ/სთ
2(5). ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, „BMW-ზაუბერი") +1 წთ 08,577 წმ
3(16). რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, „ჰონდა") +1.22,273
4(3). კიმი რაიკონენი (ფინეთი, „ფერარი") +1 წრე
5(1). ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, „მაკლარენ-მერსედესი") +1 წრე
6(6). ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, „რენო") +1 წრე
7(14). იარნო ტრული (იტალია, „ტოიოტა") + 1 წრე
8(15). კაზუკი ნაკაჯიმა (იაპონია, „უილიამს-ტოიოტა") +1 წრე
9(18). ნიკო როსბერგი (გერმანია, „უილიამს-ტოიოტა") +1 წრე
10(2). მარკ ვებერი (ავსტრალია, „რედ ბული-რენო") +1 წრე
11(13). სებასტიენ ბურდე (საფრანგეთი, „ტორო როსო-ფერარი") +1 წრე
12(12). ტიმო გლოკი (გერმანია, „ტოიოტა") +1 წრე
13(9). ფელიპე მასა (ბრაზილია, „ფერარი") +2 წრე

რბოლას გამოეთიშნენ

14(10). რობერტ კუბიცა (პოლონეთი, „BMW-ზაუბერი") გაიარა 39 წრე
15(17). ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, „ჰონდა") 38
16(7). ნელსონ პიკე (ბრაზილია, „რენო") 35
17(20). ჯანკარლო ფეზიკელა (იტალია, „ფორს ინდია-ფერარი") 26
18(19). ადრიან სუტილი (გერმანია, „ფორს ინდია-ფერარი") 10
19(8). სებასტიან ფეტელი (გერმანია, „ტორო როსო-ფერარი") 0
20(11). დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, „რედ ბული-რენო") 0

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

პოული
კოვალაინენი 1 წთ 21,049 წმ (საშ. სიჩქარე 228,350 კმ/სთ)

საუკეთესო წრე
რაიკონენი 1 წთ 32,215 წმ (საშ. სიჩქარე 200,700 კმ/სთ)

Formula 1

	ავსტრალია 16 მარტი	მალაზია 23 მარტი	ბაჰრეინი 6 აპრილი	ესპანეთი 27 აპრილი	მონაკო 11 მაისი	კანადა 25 მაისი	ამერიკა 8 ივნისი	საფრანგეთი 22 ივნისი	ბრიტანეთი 6 ივლისი	ავსტრია 20 ივლისი	შვეიცარია 3 აგვისტო	ბელგია 24 აგვისტო	იტალია 7 სექტემბერი	სინგაპური 21 სექტემბერი	იაპონია 12 ოქტომბერი	ჩინეთი 19 ოქტომბერი	ბრაზილია 2 ნოემბერი	ქულა
1 ჰემილტონი	10	4	—	6	8	10	—	—	10									48
2 მასა	—	—	10	8	10	6	4	10	—									48
3 რაიკონენი	1	10	8	10	6	—	—	8	5									48
4 კუბიცა	—	8	6	5	5	8	10	4	—									46
5 ჰაიდფელდი	8	3	5	—	4	—	8	—	8									36
6 კოვალაინენი	4	6	4	—	—	1	—	5	4									24
7 ტრული	—	5	3	1	—	—	3	6	2									20
8 ვებერი	—	2	2	4	2	5	—	3	—									18
9 ალონსო	5	1	—	—	3	—	—	1	3									13
10 ბარიკელო	—	—	—	—	—	3	2	—	6									11
ნაკაჯიმა, როსბერგი — 9-9, ფეტელი, კლოკი — 5-5, ბატონი — 3, ბურდე, პიკე — 2-2 ქულა																		
1 ფერარი	1	10	18	18	16	6	4	18	5									96
2 BMW	8	11	11	5	9	8	18	4	8									82
3 მაკლარენი	14	10	4	6	8	11	—	5	14									72
4 ტოიოტა	—	5	3	1	—	—	8	6	2									25
5 რედ ბული	—	2	2	4	2	5	6	3	—									24
უილიამსი — 16, რენო — 15, ჰონდა — 14, ტორო როსო — 7 ქულა																		

ДОРТМУНДИС СУПЕРТУРНИРИ. 28 ИВНИСИ-6 ИВЛИСИ

ლეკომ მასპინძელი დაამნუხრა

V ტური

პეტერ ლეკო (უნგრეთი)	0,5:0,5	იან ნეპომნიაშჩი (რუსეთი)
შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)	0,5:0,5	ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი)
ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)	1:0	არკადი ნაიდიჩი (გერმანია)
ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)	0:1	იან გუსტაფსონი (გერმანია)

VI ტური

ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი)	0,5:0,5	იან ნეპომნიაშჩი (რუსეთი)
იან გუსტაფსონი (გერმანია)	0:1	პეტერ ლეკო (უნგრეთი)
შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)	0,5:0,5	ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)
არკადი ნაიდიჩი (გერმანია)	1:0	ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)

მეხუთე ტურში გერმანელმა იან გუსტაფსონმა კარგად ითამაშა, ერთპიროვნული ლიდერობა მოიპოვა და თავისიანებს იმედიც გაუჩინა, მაგრამ პეტერ ლეკომ მომდევნო ტურში ეს ილუზიები მოუსპო და მასპინძლები ხახამშრალი დატოვა.

მოჭადრაკეებმა ძველინდური დაცვა გაითამაშეს, პარტია კი 5 საათსა და 15 წუთს გაგრძელდა. უნგრელმა დებიუტში სიფრთხილე გამოიჩინა, იერიშს მოერიდა და წინა ხაზის გაძლიერებას შეუდგა. გუსტაფსონმა ლაზიერის ფლანგიდან დაარტყა მეტოქეს, d ზოლზე ეტლები დააყენა და გაცვლებს მიმართა. ლეკო აქტიურად ჩაერთო თამაშში, თეთრ ფიგურებს დაერია და 26-ე სვლაზე პაიკს გამორჩა. მდიარმა ხელმწიფის მხრიდან პაიკების გაყვანა დაიწყო, უპირატესობა კიდევ უფრო განიმტკიცა და 45-ე სვლაზე მსუყე ქულაც აიღო.

მსოფლიოს ექსჩემპიონმა ვლადიმირ კრამნიკმა კი 17 წლის იან ნეპომნიაშჩის ქულა 39-ე სვლაზე გაუყო და პატარა თანამემამულე მესამე ადგილზე დატოვა.

ლუკა გეგეჭკორი

1. პეტერ ლეკო	4
2. იან გუსტაფსონი	3,5
3. იან ნეპომნიაშჩი	3,5
4. შაჰრიარ მამედიაროვი	3
5. ვასილ ივანჩუკი	3
6. ვლადიმირ კრამნიკი	3
7. არკადი ნაიდიჩი	3
8. ლუკ ვან ველი	1

ავიამშენი ფარს ამაგრებს

სოსო შერმადინი „ავიატორების“ წინააღმდეგ

გიორგი ფილეზჯანოვის ფოტო

„ავიამშენი“ და „ენერჯი-ინვესტი“ — ქართულ სატრანსფერო ბაზარზე ჯერჯერობით ეს ორი გუნდი აქტიურობს. ეს არცაა გასაკვირი. ჩვენში ხომ ყოველთვის ასე იყო — თითო-ოროლა გუნდს ჰქონდა საიმისო ფული, რომ მოთამაშეებისთვის ზაფხულშივე შეეთავაზებინა მომხიბვლელი ხელფასები.

ახლახან იყო, რუსთაველებმა „ავიამშენიდან“ კოტე ტუღუში რომ გადაიყვანეს, ხოლო „ავიატორებმა“ თავის მხრივ, ანატოლი ბოისა შეიმატეს. ამ დღეებში კი თბილისელებმა მორიგ ახალწვეულს უხმეს — მაკაბელი სოსო შერმადინი მომავალ სეზონს „ავიამშენში“ გააატარებს.

ლევან მოსეშვილის გუნდმა შერმადინის შემატება იმიტომ გადაწყვიტა, რომ „ავიამშენს“ სავარაუდოდ ორი მეფარე დატოვებს. დავით იმნაძეს სხვა კლუბში სურს გადასვლა, რიჩარდ მათიაშვილი კი ახლახან გერმანულ კემპზე იყო და რამდენიმე უცხოური გუნდის შეთავაზებაც მიიღო. მათიაშვილი ალბათ ერთ-ერთ ამოარჩევს და კარიერას ევროპაში გააგრძელებს.

ამასთან, „ავიამშენი“ და საერთოდ კალათბურთი დატოვა ლუკა შანიძემ, რომელსაც ფეხის მძიმე ტრავმის გამო გასულ სეზონში თითქმის არ უთამაშია. ტრავმა გასაგებია, მაგრამ შანიძის სათამაშო კარიერის შეწყვეტა იმანაც განაპირობა, რომ მან თურმე კარგი სამსახური იშოვა და ბევრიც არ უფიქრია.

ასე რომ, ავიამშენში დიდი ცვლილებებია. როგორც ვთქვით, გუნდი უკვე დატოვეს ტუღუშმა და შანიძემ, ხოლო მათიაშვილი და იმნაძე წამსვლელთა რიგში არიან. ნამატი კი არცთუ უბარაქოა — სუპერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი ანატოლი ბოისა და „მაკაბის“ შემადგენლობაში გასული სეზონის ერთ-ერთ მატჩში 72 ქულის მიმთვლელი სოსო შერმადინი.

თავის მხრივ, „მაკაბიც“ შეთხელდა. მართალია, გიორგი შერმადინი წლევანდელ დრაფტზე არ დადგა და შესაბამისად ნბა-შიც ვერ გადავიდა, მაგრამ კარიერას რომ უცხოეთში გააგრძელებს, ეს წინდაწინ ცნობილია. ხოლო ახლა გარკვა, რომ „მაკაბი“ მისმა ძმა სოსომაც დატოვა. ჯამლეტ ხუხაშვილი შერმადინის ტრანსფერის წყალობით ალბათ მონახავს ხეირიან მოთამაშეებს გუნდის შესავსებად — გიორგის ხომ უსასყიდლოდ არავინ გაუშვებს უცხოურ გუნდში სათამაშოდ.

ირაკლი პერტაია



რეკორდებს ტაისონის მუშტმა სდია

ომაჰაში მიმდინარე აშშ-ს შიდა ჩემპიონატზე მოცურავეებმა ხუთშაბათს ცოტა „დაისვენეს“ და პარასკევიდან ისევ შეუდგნენ მსოფლიო რეკორდების მხობას.

მაიკლ ფელპსი აბა, რის მაიკლ ფელპსი იქნებოდა, ისიც რომ არ გარეულიყო ამ საქმეში. ცურვაში მსოფლიოს ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავმა ამ ტურნირის პირველივე დღეს 400 მეტრ კომპლექსურში ხომ გააუმჯობესა თავისივე რეკორდი, შაბათს კი ზუსტად იგივე გააკეთა 200 მეტრზეც, როცა აუზში გადაშვებიდან 1.54,80 დროში უწია ფინიშს და ძველ (თავისივე) რეკორდს 0,18 წამი მოაჭრა.

ფელპსამდე 20 წუთით ადრე 200 მეტრ გულაღმა სტილში ასევე რეკორდი გამოაცხო ზურგზე ცურვის მსოფლიო ვარსკვლავმა აარონ პირსოლმა. მოკლედ, იმ დღეს ომაჰას საცურაო კომპლექსში დიდი ჟრიამული იყო, მაგრამ ასე რეკორდცვენაში, ნუ გაგიკვირდებათ და, დღის გმირი არც ფელპსი გახდა და არც პირსოლი. ხალხი და მათ შორის რეკორდსმენებიც სულ სხვა ვინმეზე საუბრობდნენ და ქება-დიდებას არ აკლებდნენ.

რაიან ლოჩტეს ჯერ ერთ სახეობაც არ მოუგია აშშ-ს ამ ჩემპიონატზე, მან ყველა ფინალი წააგო და ვერც ფელპსსა და პირსოლს წაართვა შიდა ოქრო, მაგრამ ის რომ არა, ამ ორიდან ერთიც ვერ შესწვდებოდა რეკორდს.

„ბოლო 50 მეტრს რომ შევუდექი, ვიცოდი, რომ მოვიგებდი, მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ უკანასკნელ გზაზე ლამის ცუდად გავხდი — გულახდილობდა ფელპსი — ისე მომდევდა, თავი რომ არ მომეკლა, უეჭველად წავაგებდი.“

„ყოველთვის პატივს ვცემდი რაიანს, ახლა კი ეს გრძნობა გამიორმაგდა — ამბობდა პირსოლი — 20 წუთში ორი ასეთი გაცურვის შემდეგ საერთოდ ფეხზე როგორ დგას?.“

ფელპსთან 200 კომპლექსურში დუელში რაიან ლოჩტემ 1.55,22 დრო აჩვენა, რაც ყველა დროის მესამე შედეგია და მხოლოდ ფელპსის ძველ და ახალ რეკორდებს ჩამორჩება. პირსოლთან შეჯიბრში კი მან 200 მეტრი ზურგულით 1.54,34 დროში გაცურა და მხოლოდ 0,02 წამით (!!!) ჩამორჩა გამარჯვებულს. ესეც ყველა დროის მესამე შედეგია. სხვათა შორის, პირსოლმა 200 ზურგულში რეკორდი რომ დაამხო, ის სწორედ ლოჩტესი გახლდათ. ამ უკანასკნელმა კი ერთი წლის წინ, თავის მხრივ პირსოლს წაართვა 5-წლიანი რეკორდი და, ხუმრობით რომ ვთქვათ, ახლალა „დაუბრუნა“.

„არა, მართლა ძალიან დავიღალე, რა... 200 კომპლექსურს რომ ვამთავრებდი, ვხვდებოდი, რომ ფელპსს ველარ მივწვდებოდი, მაგრამ მაინც ბოლომდე დავიხარჯე. ჰოდა, ლამის აუზში მოვკვდი. ბოლოს წყალში თითებით კედელს ვეძებდი და თავბედს ვიწყევლიდი. რომ ვიპოვე და გავჩერდი, ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს ტაისონს მუცელში მთელი ძალით ჩაერტყას მუშტი — ამბობდა ორჯერ დამარცხებული, თუმც მაინც ასე კმაყოფილი ლოჩტე — მაგრამ მაინც კარგია, რომ ორივე სახეობაში მოვხვდი ოლიმპიურ გუნდში და ჩემს მძლეველებს პეკინშიც შევებრძოლები.“

ფელპს-პირსოლ-ლოჩტეს „სამკუთხედამდე“ ერთი დღით ადრე კიდევ ერთი რეკორდი დამყარდა და სულ ექვს დღეში, არც მეტი, არც ნაკლები, 9 მსოფლიო რეკორდი შეგროვდა. ისევ სასტიკად არ გაუმართლა ამ ცხრა რეკორდიდან ერთ-ერთის ავტორს — ჰეილი მაკგრეგორს. მისი ამბავი პირდაპირ ძველბერძნულ ტრაგედიას ჰგავს და საწყალმა გოგონამ ამ ჩემპიონატის შემდეგ ვინძლო საერთოდ დაანებოს ცურვას თავი.

მაკგრეგორიმ 100 მეტრ გულაღმა ცურვის საკვალიფიკაციოში ხომ დაამყარა რეკორდი, რომელიც 5 წუთში წაართვეს, მერე კი ეს ჰეილი 100 გულაღმა ფინალში ჩამორჩა რეკორდის წამრთმევ ნატალი კულინს და მასთან ერთად მარგარიტ ჰოლტერსაც და ოლიმპიური საგზურის გარეშე დარჩა. მაკგრეგორის ოლიმპიადაზე მოხვედრის იმედი მაინც შერჩა — 200 მეტრ ზურგულში უნდა გასულიყო ორ საუკეთესოს შორის, მაგრამ ალბათ ფსიქოლოგიურად ისეთი განადგურებული იყო, რომ აქაც ვერ ივარგა და მესამეზე გასვლით სულ დაიღუპა თავი — ოლიმპიადაზე ოცნებაც ზედმეტია. მას გაასწრო ჰოლცერმაც და 15 წლის „ლაპმა“ ელიზაბეტ ბეიზელმაც კი. რეკორდი კი სწორედ ჰოლცერმა დაამყარა — 2.06,09.

ვანო კობიაშვილი

გეგმიური მარცხი

ქართველებს სერბეთთან შანსი არ ჰქონდათ

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა ვენეციაში მიმდინარე მსოფლიოს სტუდენტურ ჩემპიონატზე პირველი თამაში ჩაატარა და ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ სერბეთის ნაკრებთან 22:31 წააგო. იტალიაში ქართულ დელეგაციასთან დაკავშირება გუშინ გაძნელდა და უფრო კონკრეტული ინფორმაციაც არ გვაქვს, თუმც ახლა მთავარი ისაა, რომ ნაკრებმა მობილიზება მოახერხოს და C ჯგუფში დარჩენილი ორი თამაში, აზერბაიჯანთან და იაპონიასთან, მოიგოს, რათა მომდევნო ეტაპზე გავიდეს. სერბეთთან წარმატებით თამაში ისედაც ძნელად პროგნოზირებადი იყო და ჩვენები ჯგუფში მთავარ კონკურენტად იაპონიას მოიაზრებდნენ, იმ ლოგიკით, რომ აზერბაიჯანს დღეს აუცილებლად უნდა მოვუგოთ და მთავარ მატჩში იაპონიას ვეთამაშოთო.

აზერბაიჯანთან შეხვედრა დღეს თბილისის დროით 7 საათზე დაიწყება.

ლექსო მაისურაძე

ბლანკას სულ მაღლა და მაღლა

იგებს და იგებს ბლანკა ვლასიჩი და უმწეო ქალი სიმაღლეზე მხტომელები ალბათ თავბედს იწყევლიან, თავის დროზე მძლეოსნობის ეს დისციპლინა რომ აირჩიეს და ახლა ქვემოდან უმწეოდ შეჰყურებენ კალიასავით ხორვატს, რომელიც არავის უტოვებს თუნდაც საშუალო ტურნირის მოგების იმედს. ხანდახან მაინც რომ ისვენებდეს და სხვა მხტომელებსაც აძლევდეს რაღაცის მოგების შანსს, ესენი ალბათ მადლობებად დაიღვრებოდნენ, მაგრამ 192-სანტიმეტრიან აშხვართულ ხორვატს დასვენება არ სჭირდება, მას ყველაფერი იოლად გამოსდის და ეძლევა. 24 წლისაა, თავისი ფიზიკური შესაძლებლობების პიკზეა და თუ ფეხი არ მოსტყდა ან, ღმერთმა დაიფარა და, ერთი ტურნირიდან მეორეზე მიმავალი კატასტროფაში არ მოყვა, მისი ხელისშემშლელი არავინ იქნება კარსმომდგარ ოლიმპიადაზე.

ამ უქმეებზე მადრიდშიც, რაღა თქმა უნდა, იმარჯვა, რაც მისთვის ზედიზედ 31-ე (!) მოგებული ტურნირი გამოდგა. უკვე ერთი წელია, ვლასიჩს არსად წაუგია. მადრიდშიც ვინ შეუშლიდა ხელს — ესპანელი რუთ ბეიტია-კილა, თუ რუსი ელენა სლესარენკო? მათ ძალიან კარგად იხტუნავეს, შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოიტანეს სარბიელიდან, როცა ორივე ასცდა 2 მეტრს და 2,01 იდენტური შედეგით მეორე-მესამე ადგილი გაიყვეს, მაგრამ ესენი ამ „უმნიშვნელო“ სიმაღლეზე რომ გაჩერდნენ, ვლასიჩმა ჩვეული სიმსუბუქით გააგრძელა ხტომა, აიღო ჯერ 2,03-მეტრიანი თამასა, შემდეგ კი 2,06 მეტრსაც გადაევლო და თავისივე სეზონის რეკორდი გაიმეორა. ვინ რა უნდა მოუხერხოს? დანარჩენი მსოფლიოს მაქსიმუმი წლეულს მხოლოდ 2,03 მეტრია. ვლასიჩი კი ამ დროს მსოფლიოს ძველთაძველი რეკორდისკენ, 2,09 მეტრის გადაჭარბებისკენ იწევს და ყოველ ტურნირზე სხვათა ერთი-ორი ნახტომით ძლევის შემდეგ საჩვენებელ გამოსვლას აკეთებს — უტევს 2,10 მეტრს. მართალია, მან ეს ფანტასტიკური სიმაღლე ჯერ ვერ დაძლია და ყოველთვის გავის მსუბუქი შეხებით უვარდება თამასა, მაგრამ ყველა გრძნობას, რომ ახალი რეკორდი მწიფდება და სამძლეოსნო სამყაროც სულ უფრო და უფრო დაძაბული ინტერესით ელის ამ ისტორიულ დღეს.

შესაბამისად, ხორვატს გამუდმებით უწევს პასუხის გაცემა დაშტამპულ კითხვაზე — „ოლიმპიადაზე ხომ არ აპირებთ რეკორდის მოხსნას?“

მადრიდში დასმულ ამ კითხვას კი ვლასიჩმა ასე უპასუხა: „ოლიმპიადაზე პირველ რიგში ოქროს მოგება მინდა, მაგრამ დღეს ამაზე ფიქრით თავს არ ვიმძიმებ. ეს ხომ ზედმეტი წნეხია. ჩემი ყოველდღიური საფიქრალი ყოველი შემდეგი ტურნირის მოგებაა. ეს ტურნირი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ორ მთავარ კონკურენტს შევხვდი, სლესარენკოს და ბეიტიას და ვფიქრობ, ოლიმპიადაზე მათთან მექნება მთავარი ბრძოლა. რაც შეეხება რეკორდს, მე ყოველ ტურნირზე მაქსიმალურად ვინდომებ, ოღონდ თავადაც ხედავთ, ჯერ არაფერი გამომდის. ოლიმპიადაზე კი ვერანაირად ვერ დავგეგმავ რეკორდს. იქ ოქროს დაგეგმვაც კი ძნელია.“

ვლასიჩმა დაამშვენა მადრიდის ტურნირი, მაგრამ იქ სხვა ვარსკვლავებიც მძლეოსნობდნენ და რამდენიმე კარგი შედეგიც გამოკვეთეს. 800 მეტრზე შეჯიბრებები როგორც კაცთა, ისე ქალთა შორის — მძლეოსნობაში ისეთი პოპულარული ვერაა, როგორც სპრინტერული დისტანციები, მაგრამ ასეა თუ ისე, მაინც ოლიმპიური პროგრამის მუდმივი შემადგენელი ნაწილია და კონკურენცია აქაც შესამჩნევია. მადრიდში კაცთა შორის დიდი ბრძოლა გაიმართა ათენის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსან მბულაენი მულაუძისა (სამხრეთ აფრიკა) და 19 წლის აბრაჰამ ჩეპკირვოკს (უგანდა) შორის. მულაუძემ ძალიან სწრაფად დაფარა ორი წრიდან პირველი. ის სულ თავში იყო და ალბათ იმ ფიქრებში გარბოდა ბოლო ათეულ მეტრებს, უახლოეს მდევარს ორ წამს მოუგებ, თუ სამსო, მაგრამ ჯეელი უგანელი წამოეწია და დიდი შეჯიბრება გაუმართა ბოლო 100-მეტრიან სწორზე. საბოლოოდ მაინც სამხრეთაფრიკელმა მოიგო (1 წუთი და 43,64 წამი), მაგრამ ფინიშზე ბოლომდე დახარჯვა დასჭირდა და მხოლოდ 0,08 წამით ადრე შეყო თავი ფინიშის ხაზში, ვიდრე უგანდელმა.

რაც შეეხება ქალთა 800 მეტრს, აქაც ათენის ვერცხლის მედალოსანმა იმარჯვა. 30 წლის მაროკოელმა ჰასნა ბენჰასიმ ჩვეული ტაქტიკით ირბინა, ანუ მთელი გზა ჯგუფის მოწინავეთა ზურგსუკან ჩასაფრდა და ბოლო 100 მეტრზე მძლავრი სპრინტი დაარტყა, რითაც შებერებულ მარია მუტოლაც უკან ჩამოიტოვა და ყველა სხვაც.

ათი ათასამდე მადრიდელი გულშემატკივრის სპორტულად გართობა კარგად მოახერხეს ბადროს მტყორცნელმა კაცებმაც. რაკი ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით ტყორცნიდნენ ბადროს, ზღაპრული შედეგები არ ყოფილა, მაგრამ ორმა მტყორცნელმა — ლეგენდარულმა ლიტველმა ვირგილიუს ალეკნამ და ესპანელთა ბებერმა ჯილამ მარიო პესტანომ სხვები მაგრად ჩამოიტოვეს და ერთმანეთში გააჩაღეს ბრძოლა. ხალხმაც დიდად გაიხარა, როდესაც პესტანომ 67,01 მეტრზე ტყორცნა ბადრო და სულ რაღაც 1 სანტიმეტრით აჯობა ალეკნას. აჟიტირებულმა ესპანელმა ჟურნალისტებმა გამარჯვებულს რომ ჰკითხეს, ოლიმპიადაზეც ხომ არ აპირებ ლიტველის ძლევასო, მხრები აიჩეჩა — აბა, რა მოგახსენოთ, ალეკნა ალეკნაა, მაგას 70 მეტრს იქით შეუძლია ტყორცნა და პეკინში ძალიან გამიჭირდებაო.

გვარიანი შეჯიბრი გაიმართა სიგრძეზე მხტომელ ქალებშიც. აქ 6,97 ისკუპა ბრაზილიელმა მარენ მაგიმ და სულ ორი სანტიმეტრი მოუგო პორტუგალიელ ნაიდე გომეშს. სამაგიეროდ, პორტუგალიელები ასახელა სამხტომელმა კაცმა ნელსონ ევორამ, რომელმაც 17,40 მეტრიანი სამი სკუპით იმარჯვა მადრიდში. ის ხომ მსოფლიო ჩემპიონი გახლავთ და მიუხედავად იმისა, რომ დიდ ტურნირებზე ძვირად სანახავია, მადრიდში გამოსვლითაც აცნობა კონკურენტებს, რომ ოლიმპიადაზე ოქროზე დაგეშილი იქნება.

ყველასგან მივიწყებულმა რუსმა ჭოკით მხტომელმა ქალმა სვეტლანა ფეოფანოვამაც შეახსენა სამძლეოსნო სამყაროს თავი, როცა მადრიდში 4,75 მეტრი დაჭოკა. ოღონდ თანამემამულის და მტრად ხატწერილი ელენა ისინბაევას გადამკიდე, ის პეკინში ოქროსთვის საბრძოლველად ნამდვილად ვერ ჩავა.

ვანო კოგბიაშვილი



ვაი გაის

შაბათს მომცრო ამერიკულ ქალაქ იუჯინში მოხდა ის, რის დანახვაზეც ნახევარ თუ არა, მეოთხედ ამერიკას ოხვრა აღმოხდა. აშშ-ის ოლიმპიური გუნდის შესარჩევ ტურნირში ბედმა უმტყუნა ქვეყნის ერთ-ერთ უკაშკაშეს მძლეოსანს ტაისონ გაის. მსოფლიოს ჩემპიონმა 100 და 200 მეტრ სირბილში რამდენიმე დღის წინ მოიგო 100 მეტრი და ამ უპრესტიჟულეს სახეობაში პეკინის საგზური დაიბევა.

ყველა იმედოვნებდა... არა, ყველას სწამდა, რომ გაი 200 მეტრსაც ასევე დამაჯერებლად მოიგებდა და ოლიმპიური ოქროსთვის ამ სახეობაშიც იბრძოლებდა, მაგრამ საკვალიფიკაციო გარბენში ფინიშამდე 30-ოდ მეტრით ადრე ჩემპიონი წაბორძიკდა და დაეცა. ცხადია, ყველას ძალიან დასწყდა გული, მაგრამ კაი ბიჭობის გამო მას არავინ ჩასვამს გუნდში, მის ადგილს სხვანი დაიკავებენ, გაი კი ამერიკაშივე გამოეთიშა ოლიმპიურ ბრძოლას იმ სახეობაში, რომელიც მისთვის უფრო ჩვეული და მშობლიური იყო.

„საშინლად იმედგაცრუებული ვარ“ — ეს სიტყვები ძლივს დასცდა გათეთრებამდე პირშეკრულ შავ-შავ გაის. მოგვიანებით მას სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარეს და მისი ხელისმომკიდენი ცოტა დამშვიდდნენ. გაი გადაურჩა სერიოზულად დაშავებას, მხოლოდ ბარძაყის კუნთი დაეჭიმა. სერიოზული სულ სხვა დანაკლისია, მაგრამ რაღას იზამს, 100 მეტრიღა რჩება ოლიმპიურ სარბიელად, სადაც ორ ფეხმარდ იამაიკელთან — უსაინ ბოლტთან და ასაფა პაუელთან შეჯიბრში გაარკვევს ოქროს მფლობელის ვინაობას. 200 მეტრზე ჩემიონობისთვის სხვა ამერიკელები იბრძოლებენ.

სხვათა შორის, ამერიკას ამ სახეობაში კიდევ არაერთი სწრაფი მორბენალი ჰყავს. გაის გარეშე გამართული ნახევარფინალების ერთ გარბენში ერთბაშად სამი კაცი ჩამოსცდა 20,10 წამიან ნიშნულს — როდნი მარტინი (20,04), ვოლეს სპირმონი (20,05) და უოლტერ დიქსი (20,09). მეორე ნახევარფინალი კი 20,21 შედეგით მოიგო წინა ოლიმპიადის ოქროს მედალოსანმა შონ კროუფორდმა. ფინალშიც ალბათ ეს ოთხეული იბრძოლებს 200 მეტრის სამი ოლიმპიური საგზურისთვის.

ვანო კოგბიაშვილი

ჩოგბურთი

ანას ზედიზედ მეორე

18 წლის ქართველ ჩოგბურთელ ანა ტატიშვილს თავის კარიერაში ასეთი წარმატებული პერიოდი ჯერ არ ჰქონია. სეზონის საკმაოდ სუსტად დაწყების შემდეგ გაზაფხულზე ანამ აშკარად მოუმატა და აპრილ-მაისში, ITF-ის ეგიდით გამართული სამი საკმაოდ პრესტიჟული ტურნირის ნახევარფინალს უწია — ჯერ ჯექსონვილში (საპრიზო ფონდი 25000 დოლარის), შემდეგ ინდიან ჰარბორ ბიჩში (25000) და ბოლოს კერსონში (50 000)

ეს თითქოს მოთელვასავით იყო. დადგა ზაფხული და ტატიშვილმა გაცილებით მეტ წარმატებას მიაღწია, ელ პასოს 25-ათასიანი შეჯიბრი მოიგო. ამის შემდეგ ანამ რამდენიმე კვირა შეისვენა და წინა ორშაბათს ბოსტონის მაგარსაფარზე, 50-ათასიან ტურნირზე დაიწყო თამაში.

პირველ წრეში ანამ მასპინძელ მოურინ დიასს აჯობა 6:2 6:1, მეორე წრეში მესამე ნომრად განთესილ უნგრელ მელინდა ჟინკს 5:3-ს რომ უგებდა, მეტოქემ თამაში შეწყვიტა. მეოთხედფინალში ტატიშვილმა 5:7 6:3 6:1 დაამარცხა ოდესლაც უიმბლდონის ნახევარფინალამდე მისული და რეიტინგის მე-18 პოზიციაზე მყოფი ამერიკელი ალექსანდრა სტივენსონი და ნახევარფინალში კი უიოლესად, 6:2 6:2 მოუგო კიდევ ერთ მასპინძელს, პირველ ნომრად განთესილ ჯულია დიტს, ვისაც WTA-ს მიმდინარე რეიტინგში 99-ე პოზიცია უკავია.

ამგვარად, ანა ზედიზედ მეორედ გავიდა საკმაოდ წარმომადგენლობითი ტურნირის ფინალში. გადამწყვეტ შეხვედრაში ქართველი ჩოგბურთელმა წუხელ, 23 წლისა და კლასიფიკაციის 281-ე საფეხურზე მყოფ ტაივანელი ჩინ ვეი ჩანი 2:6 6:1 6:3 დაამარცხა და ელ პასოში მოპოვებულ ტიტულს ბოსტონურიც დაამატა.

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		7 ივლისი						
21:00	40	ვიკინგი-ფრედრიკსტადი	2.00	3.30	3.50	1.24	1.27	1.69
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		7 ივლისი						
20:00	41	ალტა-ჰიონეფოსი	2.90	3.40	2.15	1.56	1.23	1.31
		შვედეთი. ალსვენსკა						
		7 ივლისი						
21:00	42	ჰამარბი-ნორჩიოპინგი	1.50	3.60	6.50	1.05	1.21	2.31
22:00	43	გიოტებორგი-ჰელსინგბორგი	2.05	3.20	3.40	1.24	1.27	1.64
		ფინეთი. ვაიკაუსლიგა						
		7 ივლისი						
20:00	71	იარო-ვპს	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
		ისლანდია. პრემიერ დივიზიონი						
		7 ივლისი						
18:00	78	ფილკირი-ბრეიდაბლიკი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
18:00	79	კოპავოგური-ფიოლნირი	2.75	3.20	2.30	1.47	1.25	1.33
18:00	80	აკრანესი-გრინდავიკი	1.85	3.20	3.75	1.17	1.23	1.72

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10040	ვიკინგი-ფრედრიკსტადი	2.40	2.00	3.60	1.09	1.44	1.28
10041	ალტა-ჰიონეფოსი	3.30	2.00	2.65	1.24	1.46	1.13
10042	ჰამარბი-ნორჩიოპინგი	1.90	2.10	5.80	1.00	1.43	1.54
10043	გიოტებორგი-ჰელსინგბორგი	2.45	2.00	3.70	1.10	1.47	1.29

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11040	ვიკინგი-ფრედრიკსტადი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11041	ალტა-ჰიონეფოსი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11042	ჰამარბი-ნორჩიოპინგი	2.05	10.00	20.00	3.80	4.50	9.00	20.00	10.00	10.00
11043	გიოტებორგი-ჰელსინგბორგი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15040	ვიკინგი-ფრედრიკსტადი	3.00	2.80	2.00
15041	ალტა-ჰიონეფოსი	3.00	2.80	2.00
15042	ჰამარბი-ნორჩიოპინგი	3.00	2.80	2.00
15043	გიოტებორგი-ჰელსინგბორგი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16040	ვიკინგი-ფრედრიკსტადი	1.40	2.55
16041	ალტა-ჰიონეფოსი	2.05	1.65
16042	ჰამარბი-ნორჩიოპინგი	1.14	4.70
16043	გიოტებორგი-ჰელსინგბორგი	1.45	2.45

გოლი:ფყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ფყვილად)

17040	ვიკინგი-ფრედრიკსტადი	1.85	1.95
17041	ალტა-ჰიონეფოსი	1.85	1.95
17042	ჰამარბი-ნორჩიოპინგი	1.85	1.95
17043	გიოტებორგი-ჰელსინგბორგი	1.85	1.95

რომელი ბუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შსონი ზაბებულად ჩაითვლება)

14040	ვიკინგი-ფრედრიკსტადი	1.70	2.20
14041	ალტა-ჰიონეფოსი	2.10	1.75
14042	ჰამარბი-ნორჩიოპინგი	1.30	2.50
14043	გიოტებორგი-ჰელსინგბორგი	1.75	2.10

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12040	ვიკინგი-ფრედრიკსტადი 2,5	1.90	1.70
12041	ალტა-ჰიონეფოსი 2,5	2.30	1.50
12042	ჰამარბი-ნორჩიოპინგი 2,5	1.80	1.80
12043	გიოტებორგი-ჰელსინგბორგი 2,5	1.70	1.90

შესაძლო ცვლილებები დაიზუსტეთ ადგილზე

ფეხბურთი

ლუის არაგონესი

ფენერბაჰჩეს ბებერი ნაწილი

„ფენერბაჩემ“ ახალი მწვრთნელის პრეზენტაცია მოაწყო — მას მერე, რაც ესპანეთის ნაკრებს ევრო 2008-ზე ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა, ერთი კვირაც არ იყო გასული, ლუის არაგონესი უკვე სტამბოლში რომ იყო და ახალ ამპლუას ეზომებოდა.

მოგეხსენებათ, არაგონესი 69 წლის კაცია, რომელთანაც „ფენერმა“ შუა ევროპის ჩემპიონატის დღეებში ორწლიანი წინასწარი კონტრაქტი გააფორმა. არაგონესი თურქეთში გასულ ხუთშაბათს ჩავიდა, პრესკონფერენცია კი შაბათს მოაწყო.

„ძალიან მიხარია „ფენერბაჰჩეს“ ნაწილი რომ გავხდი — განაცხადა ბერიკაცმა — აქ ამ კლუბისა და წარმატებების ეშხით ვარ ჩამოსული“.

პრესკონფერენცია ტელევიზიით პირდაპირ გადაიცემოდა.

გასულ კვირაში ლუის არაგონესმა განმარტა, თუ რატომ დატოვა ესპანეთის ნაკრების თავკაცის პოსტი. მისი თქმით, კონტრაქტის გაგრძელება თავად ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ არ ისურვა, ჩათვალა რა, რომ არაგონესმა თანამდებობაზე უკვე საკმაო ხანი, ოთხი წელიწადი დაჰყო.

შეგახსენებთ, რომ ევრო 2008-ის ჩემპიონობა ესპანელთათვის ბოლო 44 წლის განმავლობაში პირველი წარმატება გახლდათ დიდ ტურნირზე.

„ფენერბაჰჩეში“ „ატლეტიკო მადრიდისა“ და „ბარსელონას“ ყოფილმა მწვრთნელმა ბრაზილიელი ზიკო შეცვალა. ზიკოს ხელში სტამბოლურმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალს მიაღწია, მაგრამ თურქეთის ჩემპიონობას ვერ შეწვდა, ტიტული თანაქალაქელ „გალათასარაისთან“ წაგო და ბრაზილიელიც ამიტომ აღარ დატოვეს თანამდებობაზე.

პაპუნა კედია

სასაცილო სისულელე

ლისაბონელი ქირურგები და 13 სექტემბერი

მართალი გითხრათ, კრიშტიანუ რონალდუს „მანჩესტერ იუნაიტედში“ დარჩენა-არდარჩენის შესახებ ყოველდღე წერა ჩვენც გვარიანად მოგვბეზრდა, მაგრამ რაკი ეს თემა მთელი ევროპისთვის მსჯელობის საგანია, ვერც ჩვენ გავექცევით, მით უფრო, რომ დღე ისე არ გავა, რაღაც სიახლე არ ითქვას.

აი, მაგალითად, გასულ უქმეებზე ესპანურმა გაზეთმა „მარკამ“ დაწერა, რომ ფიცი-მტკიცის და მკერდში მუშტების ცემის მიუხედავად, პორტუგალიელი ვარსკვლავი მადრიდის „რეალში“ გადასვლის ზღურბლზეა. „მარკას“ განცხადებით (არადა, ეს გაზეთი „რეალის“ რუპორად ითვლება), ამ საქმეს წინ ვეღარაფერი აღუდგება და ისიც კი ითქვა, რომ დღეს „რეალის“ და „იუნაიტედის“ შეფები სადღაც შვეიცარიაში უნდა შეხვდნენ ერთმანეთს.

„მარკას“ ცნობით, მადრიდული კლუბი მანჩესტერულს 70 მილიონ გირვანქას სთავაზობს, მანჩესტერული კი, რამდენადაც ცნობილია, 83 მილიონს ითხოვს. ერთი სიტყვით, დიდი გაუგებრობაა, რასაც ზედ ინგლისის ჩემპიონის პრეს-ატაშის მორიგი განცხადება დაერთო. განცხადება, ცხადია, ძველებური ყღერადობის არის:

„ესპანურ პრესაში გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სიმართლის ნამცეციც არ არის. ეს ცნობა სასაცილო და სულელურია. ამდაგვარი ინფორმაციების მოსმენა, მართალი გითხრათ, უკვე ყელში ამოგვივიდა. კრიშტიანუ რონალდუს გაყიდვასთან დაკავშირებით არავისთან არანაირ მოლაპარაკებას არ ვაწარმოებთ. უბრალოდ, კრიშტიანუ რონალდუ არ იყიდება და სულ ეს არის“.

როგორც ინგლისური ბანაკი იტყობინება, პრობლემა სხვა რამ არის, კერძოდ კი რონალდუს კოჭის ოპერაცია. პორტუგალიელმა ვარსკვლავმა ოპერაცია ამ კვირაში უნდა გაიკეთოს, რის შემდეგაც ორთვიანი უქმობა მოუწევს. „სარბიელის“ მკითხველისთვის ცნობილია, რომ რონალდუს ოპერაციის ამბავი როგორც პორტუგალიელ, ასევე მანჩესტერელ ექიმებთან არის შეთანხმებული. ორივე მხარე თანახმაა, რომ ფეხბურთელს კოჭზე ქირურგიული ჩარევა სჭირდება, თუმცა სად გაკეთდება ოპერაცია, ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არ გახლავთ. მეორე მხრივ, ახლავე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რონალდუ ოპერაციისთვის ინგლისში არ ჩავა, ასე რომ, ვარსკვლავს ლისაბონელი ექიმები მიხედავენ.

ასე და ამგვარად, თუ რონალდუ „მანჩესტერ იუნაიტედში“ დარჩება, მას პრემიერლიგის ოთხი ტურის გამოტოვება მოუწევს. როგორც ამბობენ, ეს ინგლისის ჩემპიონთა მწვრთნელისთვის, ალექს ფერგიუსონისთვის დიდი დარტყმა იქნება, რადგან 13 სექტემბერს „მანჩესტერ იუნაიტედს“ „ლივერპულთან“ აქვს სათამაშო.

კრიშტიანუ რონალდუ

მარჯვენა კოჭის პრობლემების გამო რონალდუ მარტის მერე ტკივილს ებრძოდა და ისე თამაშობდა, თუმცა ამის მიუხედავად მან მაინც მოახერხა პრემიერლიგაში, ინგლისურ თასებსა და ჩემპიონთა ლიგაში 42 გოლის გატანა.

შეგახსენებთ, რომ გასული კვირის ბოლოს ინგლისურმა ტაბლოიდებმა რონალდუს დას, ელმას მიაკითხეს, რათა მისგან შეეტყოთ რას აპირებს მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი და პასუხი ფერგიუსონის გულის გასახარელი მიიღეს:

„კრიშტიანუს „მანჩესტერ იუნაიტედში“ სურს დარჩენა“ — განაცხადა ელმამ, თუმცა მერე უქმეები დადგა და „მარკამ“ სხვა რაღაც გამოაქვეყნა...

პაპუნა კედია

წარწერა საფლავის ქვაზე...

მოყვარულმა ისტორიკოსმა პიტერ ლაპსონმა მრავალწლიანი ძებნის შემდეგ, ჰადერსფილდთან ახლოს, მიტოვებულ სასაფლაოზე იპოვნა ადგილი, სადაც 1901 წელს ბენ სვიფტ ჩემბერსი დაკრძალეს ანუ ადამიანი, რომელმაც ლივერპულში ფეხბურთის აღორძინებას ჩაუყარა საფუძველი.

სწორედ ჩემბერსის წყალობით, 1878 წელს ლივერპულში დაარსდა კრიკეტის კლუბი „სენტ დომინგო“. მას სურდა, რომ უსაქმურად მყოფი ახალგაზრდები ქუჩიდან მოეშორებინა და ისინი სპორტით დაეინტერესებინა.

მალევე, ამავე სახელწოდების საფეხბურთო კლუბი შეიქმნა, რომელსაც მოგვიანებით „ევერტონი“ დაერქვა. 14 წლის მერე, ევერტონელებს „ენფილდ როუდის“ ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი მოუვიდათ და კლუბმა სტადიონი გამოიცვალა, „გუდისონ პარკზე“ გადაბარგდა, სადაც დღემდე ბინადრობს. „ენფილდზე“ კი ახალი საფეხბურთი გუნდი „ლივერპული“ გამოჩნდა.

ლივერპულში ფეხბურთის დამაარსებლის საფლავი ორივე ამ კლუბის ძალებით წესრიგში მოიყვანეს. ახალ საფლავის ქვაზე კი ასეთი წარწერაა: „ბენ სვიფტ ჩემბერსი. ადამიანი, რომლის წყალობითაც „ევერტონი“ და „ლივერპული“ გაჩდნენ“.

გიორგი ძაძაბაძე

ჯოვანი ჰალში

პრემიერლიგის დებიუტანტმა „ჰალმ“ „მანჩესტერ სიტის“ ბრაზილიელი წახევარმცველი ჯოვანი იყიდა და ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

ჯოვანი შარშან სვენ გორან ერიკსონის მწვრთნელობისას შეიძინეს სიტელებმა, მაგრამ ისევე არ გაამართლა, როგორც შვიდი წლის წინ „ბარსელონაში“. მაშინ „ბარსამ“ ფეხბურთელში 11 მილიონი დოლარი გადაიხადა.

„ჰალიში“ ვარჯიშობს ფრანგი მცველი, პსჟ-დან წასული თავისუფალი აგენტი ბერნარ მენდი, რომელიც შეიძლება ჯოვანის თანაგუნდელი გახდეს. გარდა ამისა, კლუბს ჯორჯ ბოატენგის („მიდლსბრო“) და ემილ მპენზას („სიტი“) გადაბირებაც სურს.

სულეიმან პირველი აიაქსში

კლუბისთვის სარეკორდო ფასად „აიაქსმა“ „ჰერენვენიდან“ 19 წლის სერბი ფორვარდი მირალემ სულეიმანი დაისაკუთრა.

ფეხბურთელს პირადი კონტრაქტი ამსტერდამელებთან უკვე შეთანხმებული ჰქონდა და გუნდები ფასზე ვაჭრობდნენ. საბოლოოდ 16 მილონ 250 ათას ევროზე მორიგდნენ, ამდენი კი „აიაქსს“ აქამდე არავისში გადაუხდია. პირიქით, თვითონ ყიდდა ხოლმე სარფიანად ნიჭიერ მოთამაშეებს.

მირალემ სულეიმანი აიაქსელთა ახალი მწვრთნელის მარკო ვან ბასტენის ახირება იყო და კიდეც გაჩარხეს ტრანსფერი.

სერბმა წინა სეზონში 34 მატჩში 15 გოლი გაიტანა.

დანით მოკლული ჭორი

„მანჩესტერ სიტის“ კაპიტანმა რიჩარდ დანმა გუნდთან ახლი კონტრაქტის გაფორმებით წასვლის თაობაზე ჭორებს ბოლო მოუღო.

28 წლის ფეხბურთელზე, რომელსაც ხელშეკრულება მომავალ ზაფხულს ეწურებოდა, ამბობდნენ, რომ სხვა კლუბში გადასვლა უნდაო, მაგრამ იგი „სიტის“ ერთგული აღმოჩნდა.

„არაერთხელ მითქვამს, რომ ამ გუნდში თავს საუცხოოდ ვგრძნობ და არსად წასვლას არ ვაპირებ. მით უმეტეს, მწვრთნელად მარკ ჰიუზის მოსვლამ ყველა გაგვახარა და უმალ გადავწყვიტე კონტრაქტის გახანგრძლივება“ — განაცხადა ნახევარმცველმა, ვინაც „სიტიში“ 2010 წლამდე დარჩება.

ყოჩაღი დიგარი დაიჭერს

პსჟ-ს და საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი დიდიე დიგარი „მიდლსბროში“ ითამაშებს. გარეთ საუთგეიტის გუნდს ტრანსფერი 4 მილიონი გირვანქა დაუჯდა.

ფრანგმა კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და „ბოროსთვის“ მეორე შენაძენი გახდა ჰოლანდიელი მარვინ ემნესის შემდეგ.

„დიგარს საფრანგეთის ყველა ასაკობრივ ნაკრებში უთამაშია — თქვა გარეთ საუთგეიტმა — იგი ცენტრალური ნახევარმცველია, რომელსაც ბურთის დაჭერა შეუძლია, ფიზიკურად ძლიერია და ორთაბრძოლებში ყოჩაღი. ემნესი და დიგარი ამბიციური, ნიჭიერი ახალგაზრდები არიან და „მიდლსბროს“ ძალიან წაადგებიან“.

სალამ, აბდესლამ!

მაროკოელმა მცველმა აბდესლამ უადუმ გუნდი გამოიცვალა — „ვალანსიენიდან“ „ნანსიში“ გადავიდა. 29 წლის ფეხბურთელმა შაბათს ახალ კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

„ჩემთვის ფული კი არა სპორტული მხარე იყო მთავარი — თქვა მაროკოელმა „ეკიპთან“ — ამ გუნდში ექვსი წის წინაც ვიყავი და მას შემდეგ აღმავლობას განიცდის. წინა სეზონში მეოთხე ადგილზე გავიდა, უეფას თასზე ითამაშებს და ევროთასზე მონაწილეობა მეც მსურს“.

კუპე მილიონნახევრად

საფრანგეთის ნაკრების მეკარის გრეგორი კუპეს გაჭიანურებული ტრანსფერი მოგვარდა. 35 წლის ფრანგი „ლიონიდან“ მადრიდის „ატლეტიკოში“ გადაბარგდა.

კუპე ივნისის ბოლოს ჩავიდა მადრიდში და ესპანურ გუნდს პირად კონტრაქტზე მოურიგდა, მაგრამ მაშინ კლუბები ფასზე ვერ შეთანხმდნენ. „ლიონს“ შეთავაზებული თანხა ეცოტავა. ვაჭრობის შედეგად გრეგორი კუპეში ფრანგებმა მილიონ 500 ათასი ევრო მიიღეს.

თუ „ატლეტიკო“ მომავალ ორ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში გააღწევს, „ლიონი“ მადრიდელებისგან კიდეე ნახევარ მილიონს მიითვლის.

ჰაბიბის თავი

„აინტრახტმა“ „სტრასბურისგან“ საფრანგეთის 21-წლამდელთა ნაკრების მცველი ჰაბიბ ბელედი გადაიბირა.

ფეხბურთელმა ბუნდესლიგის კლუბთან ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

„აინტრახტის“ შეფმა ჰერიბერტ ბრუჰაგენმა განაცხადა: „ჰაბიბ ბელედი ახალგაზრდა, ტექნიკური, ნიჭიერი მცველია, თავით კარგად თამაშობს და დიდი პოტენციალი გააჩნია“.

გერმანული მედიის ცნობით, ფრანკფურტელებმა „სტრასბურს“ 2 მილიონ 500 ათასი ევრო გადაუხადეს.

ვაჟა ხუციშვილი

გვინდა ვიყოთ სიმპათიურები

ჩეზარე პრანდელიმ სერია გაარჩია

ჩეზარე პრანდელი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და საინტერესო მწვრთნელია იტალიაში. უკვე რამდენი წელია, იგი ფლორენციის „ფიორენტინას“ მშვენივრად ათამაშებს და გაცილებით ნაკლები რესურსის მქონე „იები“ „მილანის“, „ინტერის“, „იუვენტუსისა“ და „რომას“ დარგრანდებს ეჭიდავებიან

ჩეზარე პრანდელი

— თქვენი აზრით, ვის ეჭნება მომავალ სეზონში სკუდეტოს მოპოვების ყველაზე უკეთესი შანსი?

— ვთვლი, რომ მთავარი კანდიდატები ახლა „ინტერი“ და „იუვენტუსი“ არიან.

— ამჟამად, „ინტერის“ მთავარი, შენაძენი ახალი მწვრთნელი ჟოზე მაურინიუა...

—დიახ, მაურინიუს „ინტერში“ მისვლა მართლაც მოვლენაა. ამ ამბავმა პრესაში ისეთი აჟიოტაჟი გამოიწვია, თითქოს „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ კლუბში მწვრთნელი კი არა, ვარსკვლავური თავდამსხმელი მიიყვანა. ძალიან მაინტერესებს, როგორ გაითავისებს მაურინიუ იტალიურ ფეხბურთს. მჯერა, მას ყველაფერი გამოუვა. ჟოზემ ყოველთვის იცის, რა მიმართულებით უნდა წავიდეს, მაგრამ სერია A სახიფათო რამაა. ჩვენი ჩემპიონატი სანახაობრივად დიდად მიმზიდველი არ არის, მაგრამ ძალიან რთულია.

— „ინტერს“ ლამპარდის დამატება უნდა...

— საინტერესოა. ადრიანოს დაბრუნებაც მნიშვნელოვანი ფაქტია. ზალატან იბრაჰიმოვიჩი? მეცინება ხოლმე, როცა ვინმე შვედის მაიწყო, როცა „იუვემ“ ბრწყინვალე ნახევარმცველი მოჰამედ სისოკო დაიმატა, ახლა კი ამაური, რომელიც თავდასხმაში დელ პიეროტრეზეგეს სუპერწყვილს დაემატა. უფრო სწორად, ამური წინა სეზონის საუკეთესო ბომბარდირსა და მეორე ადგილზე გასულს შეუერთდა, ეს მრავლისმეტყველია. ტურინელები შესაძლოა, გოლების მანქანად იქცნენ. „ბებერი ქალბატონი“ ამაზე არ ჩერდება და ხაბი ალონსოსთან აწარმოებს მოლაპარაკებას. ასე რომ, „იუვე“ „ინტერთან“ ახლოსაა.

— მეორე ეშელონის გუნდები რომლები იქნებიან?

— პირველ რიგში, რასაკვირველია, „რომა“ უნდა დავასახელოთ. ბოლო წლებში ლუჩანო სპალეტის გუნდისადმი დიდი სიმპათია მაქვს, რადგან იგი ყველაზე მიმზიდველ ფეხბურთს თამაშობს. შემდეგ „მილანი“ მოდის. დარწმუნებული ვარ, „როსონერი“ უმაღლესი კლასის ფორვარდს იყიდის და ეს ამბავი სატრანსფერო ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იქნება.

— და „ფიორენტინა“?

— ჩვენ სკუდეტოსთვის არ ვიბრძოლებთ, მაგრამ შეგვიძლია ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვოთ. გარდა ამისა, კიდევ ერთი პრიორიტეტი მაქვს.

— რომელი?

— მინდა, რომ „ფიორენტინამ“ ყველაზე სიმპათიური გუნდის სახელი დაიმკვიდროს. ბოლო დღეებში „მილანის“ ბევრი ფანი ვნახე, რომლებმაც მითხრეს: „ჩეზარე, თქვენი გუნდის გამო, „მილანი“ ოთხეულში ვერ მოხვდა, მაგრამ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში მაინც გიქომაგებთ“. ძალიან კარგი იქნება, თუ ყველასთვის ეგრეთ წოდებული „მეორე გუნდი“ გავხდებით. ეს სწრაფვა სიმპათიური და კიდევ უფრო მიმზიდველი გუნდის გაკეთებისა, დამატებით მოტივაციას მაძლევს, რაც მნიშვნელოვანია.

— არცთუ ცოტა კარგი ფეხბურთელი დაიმატეთ. რას ელოდებით ალბერტო ჯილარდინოსგან?

— გოლებს. თან, არა მგონია, ისეთ ფეხბურთელზე ვლაპარაკობდეთ, რომელსაც რეაბილიტაცია სჭირდება და რამე აქვს დასამტკიცებელი. ჯილას ახლავე შეუძლია ბევრი გოლის გატანა.

— ხუან მანუელ ვარგასზე რას იტყვით?

— იგი გასული სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო.

— სტევან იოვეტიჩზე?

— ეს ტალანტია, რომელსაც გახსნა სჭირდება. იგი ახალგაზრდა ფრანჩესკო ტოტის მაგონებს. ოღონდ ეს სიტყვები განსაკუთრებულად არ მიიღოთ და არ გადაამეტოთ, ეს უბრალოდ ჩემი აზრია.

— და დაგვრჩა გუნდის ლიდერი ადრიან მუტუ...

— ის გუნდიდან წასვლას არ აპირებს. ვივარაუდებ, რომ არდადეგების შემდეგ პირველივე ვარჯიშზე პენალტების დარტყმის დახვეწას დაიწყებს, რათა ევრო 2008-ზე გაცუდებული თერთმეტმეტრიანი მალე დაივიწყოს. თუმცა იმ მატჩში მისი მეტოქე ჯანლუიჯი ბუფონი იყო, და რუმინელმა სწორედ ამიტომ ვერ გაიტანა, თორემ ცუდად არ დაურტყამს. მომავალ სეზონში მისგან დაახლოებით 15 გოლს და 6-7 საგოლე გადაცემას ველოდები.

— რიკარდო მონტოლივოს ოლიმპიადაზე წასვლა არ უნდა, რათა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები არ გამოტოვოს...

— არ მინდა, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის პიერლუიჯი კაზირაგის საქმეში ჩავერიო. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ როცა მან მონტოლივოს გამოძახება გადაწყვიტა, ფეხბურთელის სურვილიც უნდა გაეთვალისწინებინა.

— როგორი სქემით ითამაშებთ მომავალ სეზონში?

— ვფიქრობ, 4-3-1-2. იოვეტიჩი ოდნავ უკან, გამთამაშებლად ითამაშებს, მუტუ და ჯილარდინო კი წინ იქნებიან. ექსპერიმენტები არ მინდა, რადგან ძალიან მალე, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის უმნიშვნელოვანესი მატჩები გველის. ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ჯერ არ მოვხვედრილვართ, ამის უფლება უნდა მოვიპოვოთ.

— თქვენი აზრით, რომელი გუნდი იქნება მომავალი სეზონის მოულოდნელობა?

— იმედი მაქვს, „ფიორენტინა“. ყურადღებით ვაკვირდები „ნაპოლის“.

— მარჩელო ლიპი იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაბრუნდა...

— იგი ნამდვილად დაბადებულია ეროვნული ნაკრების მწვრთნელობისთვის. ძალიან მწყდება გული რობერტო დონადონიზე, იგი ხომ რთულ პერიოდში კარგად მუშაობდა.

— რა დასკვნა გამოიტანეთ ევრო 2008-სგან?

— გაიმარჯვა გუნდმა, რომელმაც საუკეთესოდ და ყველაზე წარმატებულად შეუხამა თავისი საფეხბურთო კულტურა სხვებისას. ესპანეთი ბრწყინვალედ აკონტროლებდა ბურთს, მისი ფორვარდები კი ძალიან ჰგავდნენ სწრაფ იტალიელ თავდამსხმელებს.

— ვინ არის ევროპის ჩემპიონატის აღმოჩენა?

— რუსები — იური ჟირკოვი და ანდრეი არშავინი, რომელსაც ადრეც კარგად ვიცნობდით, რადგან „ზენიტი“ შესწავლილი გვყავდა. გვეგონა, სანკტპეტერბურგელებს უეფას თასის ფინალში შევხვდებოდით.

— ფინალი იტალიელმა ღობერტო როზეტიმ იმსაჯა...

— ეს იყო იტალიური სამსაჯო კორპუსის ჩინებული რევანში. ახლა ძალიან მინდა, როზეტი და ჩვენი სხვა მსაჯები სერია A-ს მატჩების საკამათო ეპიზოდებში უკეთ გაერკვნენ ხოლმე.

— რას გულისხმობთ?

— არ უნდა მოითმინონ პროტესტები, სიმულაციები და სხვა მსგავსი რამეები. პირველი, ვინც უნდა დაისაჯნონ, დიდები უნდა იყვნენ და არა პატარები. აქამდე მრავალჯერ გვინახავს, თუ როგორ ურეაქციოდ ტოვებენ არბიტრები დიდი ვარსკვლავების ცუდ საქციელს, თითქოს ვერ დაინახეს, მაგრამ საკმარისია, მსგავსი რამ ნაკლებად ცნობილმა მოთამაშემ გააკეთოს და მყისვე ყვითელ ან წითელ ბარათზე იკრავენ ხელს.

მონტოლივო: ჯერ ქვეყანა, მერე კლუბი

რიკარდო მონტოლივო

„ფიორენტინას“ ახალგაზრდა ვარსკვლავს რიკარდო მონტოლივოს ოლიმპიადაზე წასვლა დიდად არ უნდ, რადგან იმ პერიოდში „იებს“ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები აქვთ სათამაშო, მაგრამ იტალიის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა პიერლუიჯი კაზირაგიმ იგი საპეკინოდ გამოიძახა და მონტოლივომაც გადაიფიქრა — პირველ ადგილზე სამშობლო უნდა დავაყენოო.

„ვფიქრობ, ყველა სპორტსმენი ოცნებობს ოლიმპიადაზე თამაშზე. გული მწყდება, რომ ოლიმპიადა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებს ემთხვევა. ძალიან ცუდია, რომ ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრებში ჩემს კლუბს ვერ დავეხმარები. თუმცა განუმეორებელი შანსი მეძლევა, ჩინეთში არამარტო იტალია, არამედ „ფიორენტინა“ და მთლიანად ფლორენცია წარმოვადგინო“ — თქვა მონტოლივომ.

შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელი რობერტო დონადონის წინასწარ განაცხადშიც იყო, და ევრო 2008-ზე მოხვედრის შანსი ჰქონდა, მაგრამ დონადონის საბოლოო სიაში ის ვეღარ მოხვდა.

დაბოლოს, „ფიორენტინას“ საინტერესო და ცოტა უცნაური გეგმა აქვს მომავალი სეზონისთვის — კლუბმა თითქმის გადაწყვიტა, რომ სერია A-ს მატჩებში კაპიტნობა მონტოლივოს მიანდოს, ჩემპიონთა ლიგაში კი კაპიტნის სამკლავურს ადრიან მუტუ შეინარჩუნებს. თუ რამდენად გაამართლებს ეს სიახლე მომავალი გვაჩვენებს.

ძოძი ძანდელაძი

პრეზიდენტის გული გაჩერდა

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჰასან დოღანი შაბათს გულის შეტევით გარდაიცვალა.

52 წლის დოღანი, ნაკრების მწვრთნელი ფათიჰ თერიმი და ფედერაციის ჩინოვნიკი ლევენტ ქაზილი ქალაქ მუღლაში იმყოფებოდნენ და სადილისას პრეზიდენტი ცუდად გახდა.

იგი უმალ წაიყვანეს საავადმყოფოში, მაგრამ ვეღარ გადაარჩინეს.

შეგახსენებთ, რომ სწორედ ჰასან დოღანმა დაიყაბულა ნაკრებში დარჩენაზე ფათიჰ თერიმი, რომელიც ევროჩემპიონატის შემდეგ წასვლას აპირებდა.

პორტუგალიის თავს იტყვიან

პორტუგალიის ნაკრების ახალი მწვრთნელის ვინაობას ამ კვირაში დაასახელებენ. ამის შესახებ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჟილბერტუ მადაილმა განაცხადა.

„ამ საკითხზე დიდი ხანია ვმუშაობთ. პრაქტიკულად უკვე ყველაფერი მოვაგვარეთ და დეტალებიღა დარჩა დასაზუსტებელი. ბევრი ვიშრომეთ და ვიმედოვნებ, რომ ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ“ — თქვა მადაილმა.

ლუიშ ფელიპე სკოლარის წასვლის შემდეგ კარლუშ კეირუშის ვარიანტს განიხილავდნენ, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.

გატაცებული ძმა

„ევერტონის“ მცველის ჟოზეფ იობოს ძმა ნორუმი ღამის კლუბიდან შინ მიმავალი გაიტაცეს. ამბავი შაბათს ნიგერიაში, პორტ ჰარკურტში მოხდა. კლუბიდან სამნი ბრუნდებოდნენ და სამივე ავტომობილში ჩაყარეს. მერე ორი გაუშვეს და ევერტონელის ძმა დაიტოვეს. გამტაცებლებს ჯერჯერობით ფული არ მოუთხოვიათ.

გაჟა ხუციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინალი და ჯანმრთელობა 24/24 ვერდერი ღიაა

ბრემენის „ვერდერის“ მწვრთნელმა თომას შააფმა მწვანე კონტინენტზე დაისვენა. იქიდან დაბრუნებულმა ევროპის ჩემპიონატისგან მიღებულ შთაბეჭდილებაზე და „მუსიკოსების“ სამომავლო გეგემებზე ისაუბრა ინტერვიუში, რომელიც „ვერდერის“ ვებგვერდზე გამოქვეყნდა



— შვებულება ავსტრალიაში გაატარეთ და ევროპის ჩემპიონატს უყურებდით?

— იქაური დროით მატჩები დილის ხუთი საათისთვის იწყებოდა, მაგრამ არ გამიცდენია. აღმაფრთოვანებელი მომენტებიც იყო და საკვირველიც. რამდენიმე ფავორიტი მეოთხედფინალის შემდეგ დაემშვიდობა ტურნირს.

გერმანიის ნაკრებს ერთი მატჩიც არ მოუგია იოლად და მით უფრო სასიამოვნოა ფინალში მისი გასვლა. ევროპის ჩემპიონატის ვერცხლი დიდად დასაფასებელი შედეგია, ფინალში კი ესპანეთთან აშკარად წააგეს.

— ბევრმა ნაკრებმა შემტევი ფეხბურთი აჩვენა. კმაყოფილი ხართ იმით, რომ „ვერდერი“ სწორედ ამ სტილის მიმდევარია?

— სამწუხაროდ, ყველა შემტევი გუნდი ვერ გავიდა ჯგუფიდან, მაგრამ ერთი რამ ცხადია — გულშემატკივარს ეს ძალიან მოსწონს. ჩემპიონატზე არაერთ ნაკრებში შევნიშნე თამაშის ის ელემენტები, რომელსაც „ვერდერი“ იყენებს. დარწმუნებული ვარ, ასეთი ფეხბურთი მომავალში აუცილებლად გაამართლებს.

— ვერდერელების თამაშს როგორ შეაფასებთ?

— ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ შეფასების სხვა კრიტერიუმებით ვხელმძღვანელობ. ხშირად ისე ხდება, რომ მატჩისას ვითარება უკიდურესად იძაბება, მე კი სწორედ ამ დროს განსაკუთრებულად ვაკვირდები ჩემს ფეხბურთელებს. მაინტერესებს, შეძლებენ თუ არა მსგავს ვითარებაში აჩვენონ ის, რაც რეალურად ეხერხებათ. მთავარია, რომ ყველა ჯანმრთელი დაბრუნდა.

— გერმანიამ მეოთხედფინალიდან ერთი ფორვარდით ითამაშა. ეს თქვენთვის მისაღებია?

— ამაზე ვმსჯელობთ ხოლმე, მაგრამ საბოლოოდ ვკითხულობთ, გვჭირდება თუ არა ეს ჩვენ? მე უფრო შემტევი ტაქტიკის მომხრე ვარ, როცა ყველას ეძლევა თავის გამოჩენის შანსი.

ზოგი გუნდი ორი, მაგრამ ერთი უკან დახეული ფორვარდით თამაშობს, თუმც ესეც არ ჯდება ჩემს ფილოსოფიაში.

— სეზონის სამზადისზეც ვთქვათ. შარშან გუნდი პირდაპირ წავიდა ნორდირნეიში შეკრებაზე, წლეულს კი ათდღიანი ვარჯიშის შემდეგ გაემგზავრება. რატომ?

— ჯერ ყველა ფეხბურთელი არ დაბრუნებულა და ამიტომ ბრემენში დარჩენა და შეკრებაზე მოგვიანებით წასვლა გადავწყვიტეთ.

— ცოტა ფეხბურთელით მომზადების დაწყებას ალბათ დადებითი მხარეც აქვს...

— აშკარად. ჩვენ ინტენსიურად ვავარჯიშებთ აქ მყოფ მოთამაშეებს. ფიზიკურად მოღონიერების გარდა, თითოეულთან სამუშაოდ ბევრი დრო მრჩება. ამიტომაც მოვიწვიეთ სპეციალისტი ბენჟამინ კუგელი, რომელიც ფეხბურთელებისთვის ინდივიდუალურ მოსამზადებელ პროგრამას ადგენს.

— გუნდის ყოველდღიური ვარჯიშის პროგრამა ამით საგრძნობლად შეიცვლება?

— ჩვენ მუდმივად ვვითარდებით და ვარჯიშების დახვეწას ვცდილობთ. მაინცდამაინც დროს არ ვაზუსტებთ, როდის რა უნდა შეიცვალოს. თუ ვამჩნევ, რომ რაღაც გადასაკეთებელია და ეს გუნდს წაადგება, ვაკეთებთ, ოღონდ ამაზე საჯაროდ თითქმის არასოდეს ვსაუბრობთ.

— წინა სეზონის მსვლელობისას ტრავმის გამო არაერთი ფეხბურთელი გამოგაკლდათ და რთულ ვითარებაში აღმოჩნდით. საგანგებოდ რამე ხომ არ მოიფიქრეთ, რომ ამისგან დაზღვეული იყოთ?

— რა თქმა უნდა, ვფიქრობდით, რამ გამოიწვია ეს ხშირი ტრავმიანობა, მაგრამ იყო ისეთი მომენტებიც, რომელზეც ჩვენ გავლენას ვერ მოვახდენდით. ამჯერად ვიმედოვნებთ, რომ მსგავსი რამ აღარ დაგვემართება.

—რა მიზნები გაქვთ ამ სეზონში?

— ისევ ვითამაშებთ შემტევ ფეხბურთს, ვასიამოვნებთ ქომაგებს და ჩვენც ვისიამოვნებთ. ვიბრძოლებთ ჩემპიონობისთვის, რადგან ამის რეალური შანსი გვაქვს. ჩვენს კონკურენტებსაც არ სძინავთ და ალბათ ისევ „ბაიერნი“ იქნება ფავორიტი.

— „ბაიერნის“ უფროსები აცხადებენ, რომ ფეხბურთელებისთვის რვასაათიან სამუშაო დღეს დააწესებენ. თქვენც ხომ არ აპირებთ ასეთი რეჟიმის დანერგვას?

— ჩვენ 24 საათის განმავლობაში ვშრომობთ. ჩემი ფეხბურთელები მუდამ მზად არიან. ახლაც რომ ნახოთ გრაფიკი, თავად შეიტყობთ თუ რამდენ ხანს ატარებენ ისინი ერთად და ეს სრულიად საკმარისია.



დავიდ ბალერი (მარცხნივ) მხილებულია

ახალი კალჩოპოლი?

იტალიაში ახალი სკანდალი აგორდა. ბერგამოს „ატალანტასა“ და სერია B-ში გავარდნილი „ლივორნოს“ ფეხბურთელებს გასულ სეზონში ურთიერთშეხვედრების ჩაწყობაში ედებათ ბრალი.

2007 წლის 23 დეკემბერს „ლივორნო“ — „ატალანტა“ 1:1 დასრულდა, ხოლო 2008 წლის 4 მაისს ბერგამოელი შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით 3:2 დამთავრდა.

მთავარი დამნაშავეები „ლივორნოს“ ყოფილი კაპიტანი დავიდ ბალერი და ატალანტელი ჯანპაოლო ბელინი არიან. ისინი გარიგების მოთავეებად და მთავარ შემსრულებლებად ითვლებიან. კიდევ სამ ლივორნოელს — ალესანდრო გამბერინის, ემანუელე და ანტონიო ფილიპინებს კი იმაში ედებათ ბრალი, რომ ამ ამბის შესახებ ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ დამალეს და სადაც საჭირო იყო არ აცნობეს.

„მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს კლუბს არაფრის ეშინია, რადგან დამნაშავენი არ ვართ. გამოძიების დასრულებას მშვიდად უნდა დაველოდოთ, მჯერა, ყველაფერი მალე გაირკვევა“ — განაცხადა „ლივორნოს“ პრეზიდენტმა ალდო სპინელიმ.

„ატალანტას“ მწვრთნელი ლუიჯი დელ ნერი: „ნამდვილად არ მგონია, რომ ფეხბურთელებს შორის რაიმე გარიგება ყოფილიყო. ჩვენ ტრადიციულად ყველა მატჩში მოსაგებად ვთამაშობდით“.

„ნებისმიერი სასამართლოს წინაშე წარვდგები და ჩემს სიმართლეს დავამტკიცებ. 25-წლიანი კარიერის მანძილზე ისეთი რამ არასდროს გამიკეთებია, რაც წესებს და კანონებს ეწინააღმდეგება. ძალიან გულდაწყვეტილი ვარ ატეხილი მითქმა-მოთქმის გამო“ — აღნიშნა 39 წლის ბალერიმ, რომელიც ახლა სერია C2-ს ბინადარ „კომოში“ ირიცხება.

გიორგი კაკაბაძე

რიბეირუმ რობინიო აურია

რობინიო რაღაცას ხლართავს და „რეალის“ სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი ამის გამო გაბრაზებულა.

ფეხბურთელის აგენტი ვაგნერ რიბეირუ „ჩელსის“ რეალელთა ზურგს უკან ეჩურჩულება ტრანსფერზე და მადრიდულ კლუბში ბრაზილიელი უკვე აითვალწუნეს.

სეზონის დასრულების შემდეგ რობინიო მშვიდად გაემგზავრა სამშობლოში, იქ კი რაღაც ჭია შეუჩნდა და სხვა კლუბებში გადასვლაზე ლაპარაკი დაიწყო.

აფორიაქებული „რეალი“ ნერვიულობს, რადგან ეს ზურგსუკანა საუბრები სულ უფრო და უფრო მატულობს და ამის მოთავე ვაგნერ რიბეირუა.

„ას“-ი წერს, რომ აგენტის მიზანი ფეხბურთელის კონტრაქტის გადახედვა და ჯამაგირის მომატებაა.

პრედრაგ მიატოვიჩმა საპასუხო სვლა არ დააყოვნა, გუნდის ამრევი და უკმაყოფილო ფეხბურთელები არ გვჭირდებაო. გვარი არ დაუსახელებია, მაგრამ გასაგებად მიანიშნა რობინიოზე. „ას“-ი, ვარაუდით, თუ „რეალი“ კრიშტიანუ რონალდუს ყიდვას მაინც მოახერხებს, რობინიოს გუნდში აღარ გააჩერებენ. ბრაზილიელის ფასი კი 45 მილიონი ევროა.

პრედრაგ მიატოვიჩს უთქვამს: „რობინიოსგან ასეთი საქციელი მიკვირს, შეეძლო მოსულიყო და პირისპირ გვესაუბრა. ელიარებინა, რომ მისის აგენტი მაისში „ჩელსის“ წარმომადგენელს შეხვდა. მოვუსმენდი, მის პრობლემას გავიგებდით და მოვაგვარებდით“.

ფეხბურთელი კი ბრაზილიაში, იქაური მედიის ფურცლებიდან „რეალს“ მესიჯებს უგზავნის. მაგალითად, ერთ-ერთ გაზეთს უთხარა: „მე „მანჩესტერი“ და „ჩელსი“ მეპატიჟებიან. თუ რომელიმესთან მოვრიგდები, „რეალიდან“ წასვლის პრობლემა არ მექნება“.

მადრიდში კი ასეთ ვარიანტს განიხილავენ: თუ „ჩელსი“ 45 მილიონ ევროს გადაიხდის რობინიოში, ეს ფული კრიშტიანუ რონალდუს ტრანსფერს წაადგება.

„რეალში“ დარჩენის შემთხვევაში კი ბრაზილიელი გუნდს აგვისტოს ბოლოს შეუერთდება. მან ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ითამაშა, ახლა შვებულებაშია და მერე ოლიმპიადაზე მიემგზავრება.

ვაჟა ხუციშვილი



რობინიო

კრაუჩის ჰარი რამპა

„პორტსმუთი“ იმედოვნებს, რომ დღეს საბოლოოდ დაისაკუთრებს პიტერ კრაუჩს. საამისოდ მას „ლივერპულისთვის“ 11 მილიონი გირვანქის გადახდა მოუწევს.

მოგეხსენებათ, როგორც კი ტანმაღალმა ფორვარდმა განაცხადა, რომ მერსისაიდელთაგან წასვლა აქვს გადაწყვეტილი, „პორტსმუთის“ მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა მტკიცედ გადაწყვიტა მისი შეძენა. თავიდან რედნაპმა „ლივერპულს“ 9 მილიონი გირვანქა შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. ახლა სატრანსფერო თანხა 11 მილიონამდეა გაზრდილი, ოღონდ გადახდის წესი ასეთი იქნება: 9 ერთბაშად და ორიც თანდათან.

26 წლის კრაუჩს ახალი კლუბის პოვნა იმიტომ სურდა, რომ „ლივერპულში“ სათადარიგოთა სკამზე მოუხდა ჯდომა, რამაც მისი სანაკრებო კარიერა შეიწირა.

აღსანიშნავია, რომ თავიდან ლივერპულელები კრაუჩის „პორტსმუთში“ გაშვებას მაინცდამაინც არ ეშურებოდნენ, რამდენადაც იგი „ასტონ ვილასგან“ გარეთ ბერის გადმობირების ოპერაციაში ხურდად სჭირდებოდათ. იყო მეორე ვარიანტიც — უნდოდათ კრაუჩის მეშვეობით „ტოტენჰემ ჰოთსპური“ მოეხიბლათ და ლონდონელებს მათკენ რობი კინი გამოეშვათ, მაგრამ კრაუჩის ინტერესიც ხომ უნდა გაეთვალისწინებინათ. კერძოდ, ფორვარდი არასდროს მალავდა, რომ იმ კლუბში დაბრუნებაზე ოცნებობდა, რომლის შემადგენლობაშიც ექვსი წლის წინ ერთი სეზონი დაჰყო. კიდევ, კრაუჩის ოცნება კვლავ ჰარი რედნაპის შეგირდობა გახლდათ.

ბედის ირონიაა, რომ 2002 წელს „პორტსმუთიდან“ „ასტონ ვილაში“ ის სწორედ რედნაპმა გაყიდა, მაგრამ 2004-ში ის უკვე „საუთჰემპტონის“ თავკაცობისას იყიდა და მის კარიერას ხელი დაატყო.

გასულ სეზონში კი კრაუჩი „ლივერპულის“ სათადარიგო ფეხბურთელად იქცა, რადგან მერსისაიდელთა ძირითადში ადგილი ესპანელმა ვარსკვლავმა ფერნანდო ტორესმა დაიმკვიდრა. საინტერესოა, რომ მეტწილად სკამზე ჯდომის მიუხედავად, კრაუჩმა მაინც მოახერხა პრემიერლიგაში 13 გოლის გატანა.

ბუნებრივია, „ლივერპულის“ თავკაცი რაფა ბენიტესი კრაუჩის გაყიდვით მონაგებ ფულს ბერის გარდა კიდევ ერთი თავდამსხმელისა და ნახევარმცველის ყიდვის საქმეში დახარჯავს.

რამდენადაც ცნობილია, ბენიტესს „ვალენსიადან“ დავიდ ვილას შეძენა სურს. გარდა ამისა, მას ნიუკასლელი გარემარბის, ჯეიმს მილნერის და მიდლსბროელი სტიუარტ დაუნინგის ყიდვაზე უჭირავს თვალი.

სხვა ამბავია, რომ ბერის „ასტონ ვილას“ შეფები 18 მილიონ გირვანქად აფასებენ და ეს თანხა ბენიტესს ეძვირება.

თავად „ვილას“ მწვრთნელი მარტინ ონილი კი ბერის გარეშე ცხოვრებისთვის ემზადება, თუმცა მას სხვა პრობლემებიც აქვს. კერძოდ, მისი განკარგულებიდან წავიდნენ ოლოფ მელბერგი, ტომას სორენსენი, სკოტ კერსონი და პატრიკ ბერგერი, მათ კი შეცვა სჭირდება. სხვათა შორის, ამბობენ, რომ „ასტონ ვილადან“ შესაძლოა შონ მელოუნიც წავიდეს, კერტის დევისი და სტივენ ოჰალორანი კი ხანგრძლივი მკურნალობის კურსს გადიან.

მარტინ ონილი: „მართალია, გასულ სეზონში ჩემმა ფეხბურთელებმა ჩინებულად ითამაშეს, მთელ პრემიერლიგაში ყველაზე მოკლე სკამი გვქონდა და ეს წლეულს აღარ უნდა განმეორდეს. რაც შეეხება გარეთ ბერის, თუ ის ჩვენთან დარჩენას გადაწყვეტს, ჯერ კიდევ იმ ჭკუაზე ვართ, რომ დავიტოვებთ.“

პაპუნა კედია

მალიორკა მარცხნიდან მარჯვნივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მალიორკამ“ ორი მცველი დიმატა — ხოსემი „ვილიარეალიდან“ და აიოზე დიასი სანტანდერის „რასინგიდან“. პირველი მარცხენა, მეორე კი მარჯვენა მცველია. ორივემ სამ-სამ წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

აიოზე დიასი ფერნანდო ნავაროს ადგილს დაიკავებს, რომელიც ივნისში „სევილიაში“ გადავიდა. „შევეცდები, რომ ნავარო ღირსეულად შევცვალო გუნდში, სადაც ბევრი კარგი ფეხბურთელია“ — თქვა დიასმა.

შეგახსენებთ, რომ „მალიორკას“ ხონას გუტიერესი („ნიუკასლი“) და არიელ იბაგასა („ვილიარეალი“) გაეყარნენ. იბაგასა ფანთა ჯილა იყო და მრავალგზის მობოდიშება მოუწია მათ წინაშე, „ვილიარეალში“ გადასვლის გამო.

რუსეთი

პრემიერლიგა. XII ტური

ლუჩ-ენერგია 1:1 ხიმკი

1:0 ბულიგა (54), 1:1 ნიზამუტდინოვი (82)

კრილია 2:2 რუბინი

0:1 ნობოა (10), 1:1 სავინი (41), 1:2 ნობოა (66), 2:2 რ. აჯინჯალი (88პ)

ნალჩიკი 2:1 შინიკი

1:0 სირაძე (7), 1:1 გორავსკი (37), 2:1 ამისულაშვილი (49)

ტერეკი 3:1 სპარტაკი

0:1 კალინიჩენკო (36), 1:1 ჯაბრაილოვი (52), 2:1 ბოული (57), 3:1 კუზმიჩევი (66)

ცსკა 0:2 დინამო

0:1 სემშოვი (11), 0:2 კოლოდინი (61პ)

ზენიტი 5:1 ტომი

1:0 ფაიზულინი (6), 2:0 შიროკოვი (12), 2:1 მიჩკოვი (22პ), 3:1, 4:1 ტიმოშჩუკი (24, 27პ), 5:1 ფაიზულინი (35)

ლოკომოტივი 0:1 ამკარი

0:1 პეევი (56)

სატურნი — მოსკვა

ზეგ გაიმართება

რუბინი	12	8	2	2	19:11	26
ამკარი	11	7	1	3	13:6	22
დინამო	12	6	3	3	17:14	21
სპარტაკი	12	5	5	2	21:16	20
ლოკომოტივი	11	5	4	2	14:8	19
კრილია	12	4	5	3	17:13	17
ნალჩიკი	11	5	1	5	11:12	16
ცსკა	10	4	3	3	11:9	15
ტერეკი	11	5	0	6	12:17	15
სატურნი	11	3	3	5	11:11	12
ტომი	12	3	3	6	10:18	12
მოსკვა	11	2	5	4	12:14	11
ზენიტი	7	2	4	1	12:8	10
შინიკი	12	2	3	7	14:20	9
ლუჩ-ენერგია	11	1	5	5	9:15	8
ხიმკი	12	1	5	6	16:27	8

შვედეთი

ალსვენსკა. XIII ტური

კალმარი — ჰალმსტადი 1:1, აიკ — გაის 2:2; ლიუნგსკილე — იორგბრო 0:1; სუნდსვალი — მალმიო 0:0; ტრელებორგი — იურგორდენი 1:1. ჰამარბი — ნორრიოპინგი და გიოტებორგი — ჰელსინგბორგი დღეს გაიმართება, ელფსბორგი — გეფლე კი ზეგ

კალმარი	13	9	2	2	29:10	29
ელფსბორგი	12	7	4	1	16:3	25
აიკ	13	7	4	2	16:11	25
ჰელსინგბორგი	12	6	3	3	22:15	21
მალმიო	13	5	6	2	18:14	21
გიოტებორგი	12	5	4	3	17:12	19
ჰამარბი	12	5	4	3	14:11	19
იურგორდენი	13	4	6	3	13:17	18
ჰალმსტადი	13	4	5	4	16:15	17
გაის	13	3	7	3	12:12	16
ტრელებორგი	13	3	4	6	12:15	13
სუნდსვალი	13	3	3	7	13:19	12
იორგბრო	13	3	3	7	6:18	12
ლიუნგსკილე	13	3	1	9	10:22	10
გეფლე	12	2	2	8	9:18	8
ნორრიოპინგი	12	1	4	7	9:20	7

სუპერლიგა. XIV ტური

ატვიდაბერგი — ვასბი 1:1, დეგერფორსი — ბრომაპოიკარნა 0:0, ლანდსკრონა — ჰეკენი 0:2, ბანყფლო — იონკოპინგი 1:2; ანგელჰომი — ასირისკა 1:2; ფალკენბერგი — ქვიდინგი 2:0; მიალბი — ეჩიოპინგი 3:0; იორგრიტე — სირიუსი 4:1

ბრაზილია

სერია A. IX ტური

ატლ. პარანენსე — სანტოსი 1:0; ფლამენგო — ნაუტიკო 3:0; სპორტ რესიფი — კრუზეირო 1:0; ატლ. მინეირო — პალმეირასი 1:1; ფიგეირენსე — ვასკუ და გამა 2:1; ინტერნასიონალი — კურიტიბა 3:0; პორტუგეზა — ვიტორია 1:2. ბოტაფოგო — გრემიო, გოიასი — ფლუმინენსე და სან პაულუ — იპატინგა წუხელ გვიან დამთავრდა

ინტერტოტოს თასი 2008

მეორე ეტაპი. პირველი მატჩები

სატურნი (რუსეთი) 7:0 ეტცელა (ლუქსემბურგი)
გრასჰოპერი (შვეიცარია) 2:1 ბესა (ალბანეთი)
გრბალი (ჩერნოგორია) 2:2 სივასფორი (თურქეთი)
შტურმი (ავსტრია) 2:0 შახტიორი (ბელარუსი)
ტეპლიცე (ჩეხეთი) 1:3 ჰონვედი (უნგრეთი)
ჩერნომორეცი (ბულგარეთი) 1:1 ნოვა გორიცა (სლოვენია)
ტირასპოლი (მოლდოვა) 0:0 ტავრია (უკრაინა)
ბეერსხოტი (ბელგია) 1:1 ნეფთჩი (აზერბაიჯანი)
ეკრანასი (ლიტვა) 1:3 რუსენბორგი (ნორვეგია)
ჰიბერნიანი (შოტლანდია) 0:2 ელფსბორგი (შვედეთი)
ოფკ (სერბეთი) 1:0 პანიონიოსი (საბერძნეთი)
რიგა (ლატვია) 1:0 ბოჰემიანსი (ირლანდია)
ტურკუ (ფინეთი) 1:2 ოდენსე (დანია)
რენოვა (მაკედონია) 1:2 ბნეი საჰნინი (ისრაელი)

ამხანაგური მატჩები

5 ივლისი

სპარტა — კლადნო 1:2; მიდტიულანდი — ვაილე 1:1; ნორდსიელანდი — ორჰუსი 2:0; კარლ ცაისი — მოსტი 1:1; რანდერსი — ბრონდბიუ 2:2; ფრაიბურგი — აარაუ 1:2; კრინსი — ციურიხი 0:1; ვადუცი — ლუგანო 2:0; ბაზელი — შახტარი 2:3; ლევერკუზენი — დარმშტადტი 4:1; დინამო (კიევი) — გროცლინი 4:1; ნიტრა — სიგმა 1:1; სიონი — რაპიდი (ბუქარესტი) 1:1; ბელსტაუვი — პლოცკი 0:0; ლე ავრი — ბულონი 1:3; სერვეტი — ივერდონი 2:1; ანჟერი — ლიბურნი 0:0; შერბური — ლილი 0:2; რეიმსი — ლავალი 0:1; დიჟონი — ტრუა 1:1; მარსელი — ბასტია 3:3; ტრენინი — სპარტაკი (ტრნავა) 1:2; ბოხუმი — ანორთოსისი 1:2; რუჟომბეროკი — პრეიბრამი 1:1

6 ივლისი

მეცი — გრენობლი 2:2; ამიენი — ლანსი 1:2; ნანტი — დინამო (ბუქარესტი) 1:2

ნორვეგია

ტიპელიგა. XII ტური

რუსენბორგი — ალესუნდი 3:1, ბრანი — ბოდიო გლიმტი 4:1, ლილესტრიომი — ლინი 1:2, მიოლდე — ჰამ კამი 2:0, ტრომსიო — სტრიომსგოდსეტი 2:0, ვოლერენგა — სტაბეკი 2:1. ვიკინგი — ფრედრიკსტადი დღეს გაიმართება

სტაბეკი	12	7	3	2	21:10	24
ფრედრიკსტადი	11	7	1	3	18:12	22
ლინი	12	6	2	4	17:12	20
ბრანი	12	5	4	3	20:18	19
რუსენბორგი	12	5	3	4	19:13	18
ტრომსიო	11	5	3	3	12:7	18
ბოდიო გლიმტი	12	5	3	4	13:15	18
ვოლერენგა	12	5	2	5	15:13	17
ვიკინგი	11	5	1	5	15:16	16
სტრიომსგოდსეტი	12	4	4	4	12:14	16
მიოლდე	12	3	5	4	14:14	14
ალესუნდი	12	3	1	8	17:26	10
ლილესტრიომი	12	2	3	7	12:20	9
ჰამ კამი	11	1	3	7	6:21	6

I დივიზიონი. XII ტური

ჰაუგესუნდი — ბრინი 1:1, ჰიოდი — ტრისილი 2:3, კონგსვინგერი — სანდნესი 0:0, ლოგ ჰამი — სანდეფიორდი 0:2, ოდ გრენლანდი — სიოგნდალი 4:4; სპარტა — ნოტოდენი 1:1, სტარტი — მოსი 0:0. ალტა — ჰორნეფოსი დღეს გაიმართება

ისლანდია

I დივიზიონი. X ტური

თროტური — რეიკიავიკი 0:1; ვალიური — ფრამი 2:0. კეფლავიკი — ჰაფნარფიორდური წუხელ გვიან დამთავრდა, აკრანესი — გრინდავიკი, ფილკირი — ბრეიდაბლიკი და კოპავოგური — ფიოლნირი დღეს გაიმართება

იაპონია

ჯეი ლიგა. XV ტური

საპორო — შიმიცუ 2:2, ვერდი — იჩიჰარა 3:0, ნიიგატა — ნაგოია 2:1, ივატა — კაშიმა 1:2, ურავა — ტოკიო 2:0, კობე — ომია 1:0, კაშივა — გამბა 1:0, კავაზაკი — იოკოჰამა 2:1, კოტო — ოტა 1:1

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XI ტური

ტურკუ — ჰიკი 1:3, ჰაკა — ლაჰტი 2:1, ჰონკა — ინტერი 1:1, მარიეჰამნი — ტამპერე 1:1, მიუპა — კუოპიო 4:1, როვანიემი — კტპ 3:0. იარო — ვაასა დღეს გაიმართება

ინტერი	11	6	5	0	19:7	23
მიუპა	11	6	3	2	17:7	21
ჰიკ	11	5	5	1	22:9	20
ლაჰტი	11	6	1	4	16:12	19
ჰაკა	11	5	2	4	14:16	17
როვანიემი	11	4	4	3	17:15	16
ჰონკა	11	4	3	4	15:8	15
ვაასა	10	3	5	2	6:4	14
ტამპერე	11	3	5	3	16:16	14
ტურკუ	11	4	2	5	14:15	14
მარიეჰამნი	11	3	3	5	12:17	12
იარო	10	3	3	4	10:17	12
კუოპიო	11	1	3	7	8:21	6
კტპ	11	0	2	9	6:28	2

ჩილე

კლაუსურა. III ტური

უნიონ ესპანიოლა — უნივ. კათოლიკა 1:4; ევერტონი — უნივ. კონსეპსიონი 2:1, ოჰიგინსი — კობრელოა 1:0, ლა სერენა — მელიპილია 1:0, უანტატო — სან მორნინგი 1:1. ოსორნო — ატლეტიკო, ანტოფაგასტა — რეინეკერსი, კობრესალ — უნივ. დე ჩილე და კოლო კოლო — პალესტინო წუხელ გვიან დამთავრდა, დეპ. კონსეპსიონი — აუდაქს იტალიანო გადადო

ირლანდია

პრემიერლიგა. XVII ტური

კორკი — გალვეი 3:2, დროჰედა — დუბლინი 2:1, შელბორნი — კობი 0:0, სლიგო — დერი 0:0, სენტ პატრიკი — ფინ ჰარპსი 5:1. ბრეი — ბოჰემიანსი გადადო

აშშ

მეიჯორ ლიგა. XVII ტური

სოლტ ლეიკი — ჰიუსტონი 0:0, დალასი — კანზასი 1:1, კოლორადო — ნიუ იორკი 4:0, ლოს ანჯელესი — ნიუ ინგლენდი 1:2, კოლუმბუსი — ჩიკაგო 2:2, ჩივასი — სან ხოსე 1:0

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროჭაჭელიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინსარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხოშერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00